

რობერტ ე. გუდინი, ჰანს-დიტერ კლინგემანი

პოლიტიკური მეცნიერება:
დისციპლინა

შინაარსი

შესავალი	3
I პოლიტიკური მეცნიერება, როგორც დისციპლინა	4
ა. დისციპლინის ბუნება.....	4
ბ. რა არის პოლიტიკა?	8
გ. პოლიტიკის რამდენიმე მეცნიერება.....	12
II პროფესიის სიმწიფის ხანა.....	15
III პროფესიონალიზმის კრიტერიუმები.....	23
ა. კლასიკური ნაშრომები.....	23
ბ. საჭირობოროტო თემები.....	27
გ. ახალი ხმები	33
IV პროფესიის კონტურები: ბიბლიომეტრული ანალიზი. 36	
დასკვნა.....	41

შესავალი

ინტერესი წარსულისადმი თავისი ბუნებით არჩევითია. მრავალ საყურადღებო დაკვირვებას შეიცავს პოლიტიკური მეცნიერების ახალ სახელმძღვანელოში შესულ მიმოხილვათა ფართო სპექტრი. ვინც ნაშრომის ყველა თავს მთლიანად წაიკითხავს, ამ წიგნის მნიშვნელობას გაცილებით უკეთ მიხვდება. თუმცა, რა თქმა უნდა, ის არასრულია და, გარკვეული თვალსაზრისით, უნიკალურიც. ავტორები იძულებულნი იყვნენ, ყურადღების მიღმა დაეტოვებინათ ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი რადგან, ის არ შეესატყვისებოდა წიგნის სტრუქტურას. ახალი სახელმძღვანელოს ავტორები მოგვითხრობენ იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა პოლიტიკური მეცნიერების სფეროში უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე და მათ პრეტენზია არ აქვთ, სრულად გადმოსცენ მთელი დარგის ისტორია.

შესავალში განსაზღვრულია წიგნის ცალკეული ნაკვეთის ადგილი დისციპლინის საერთო კონტექსტში, წარმოჩენილია ყველაზე საინტერესო საერთო მახასიათებლები. ცხადია, ეს მიმოხილვათა მიმოხილვა კიდევ უფრო ნაკლებად შეიძლება იყოს ყოვლისმომცველი, ვიდრე თითოეული მომდევნო თავი.

ახალი სახელმძღვანელო პოლიტიკური მეცნიერების, როგორც დისციპლინის, პროფესიული სიმწიფის ნათელი დადასტურება გამოდგა. დარგის განვითარება ორმხრივ ხასიათს ატარებს: ერთი მხრივ, აშკარაა კვლევის აღმავალი დიფერენციაცია სულ უფრო და უფრო საფუძვლიანი, ღრმა გამოკვლევებით, რომლებიც ხორციელდება ქვედისციპლინებში (და ამ ქვედისციპლინების შიგნით ცალკეულ ვიწრო სპეციალობებშიც), მეორე მხრივ კი – ცალკეულ ქვედისციპლინათა მზარდი ინტეგრაცია.

თუკი მზარდი დიფერენციაცია და სპეციალიზაცია სიახლეს არ წარმოადგენს, ინტეგრაცია დიდ დაკვირვებას იწვევს. ამასთანავე, მკაფიოდ იკვეთება მკვლევართა ინტერესი მომიჯნავე ქვედისციპლინებისადმი. მუდმივი ინტელექტუალური ურთიერთინტერესი აახლოებს ცალკეულ ქვედისციპლინებს და იძლევა შესაძლებლობას, რომ თეორიულმა ინოვაციებმა სწრაფად გადალახონ ქვედისციპლინებს შორის არსებული საზღვრები. ამ პროცესს საგრძნობლად ამარტივებს კვლევის მეთოდოლოგიური საშუალებების სულ უფრო მეტად უნიფიცირებული კომპლექსის არსებობა. თავის მხრივ, იზრდება მეცნიერ-

თა გუნდი, რომელიც ხელს უწყობს დისციპლინის სინთეზს, მატულობს იმ მკვლევართა რიცხვი, რომლებსაც მყარად ჰქონდათ გადგმული ფესვები ერთ კონკრეტულ ქვედისციპლინაში, მაგრამ შესწევდათ უნარი, ესაუბრათ სხვა ქვედისციპლინასთან გასაგებ ენაზე. იმ მრავალ მოსაზრებას შორის, რომლებსაც შეამჩნევთ ახალი სახელმძღვანელოში, სწორედ ეს იდეები იმსახურებს ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას. მათ ჩვენ წინამდებარე თავში განვიხილავთ.

I პოლიტიკური მეცნიერება, როგორც დისციპლინა

ამ თავის ძირითადი თეზისია ის, რომ პოლიტიკური მეცნიერება, როგორც დისციპლინა, სიმწიფის ფაზაში შევიდა და დიდ პროფესიონალიზმს¹ მოითხოვს. სანამ ამ საკითხს განვიხილავდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, მოკლედ შევეხოთ რამდენიმე არსებით საკითხს. რა კრიტერიუმები გამოიყენება პოლიტიკური მეცნიერების, როგორც დისციპლინის, განსაზღვრისთვის? რა არის პოლიტიკა? პოლიტიკის შესწავლას რა თვალსაზრისით შეიძლება, პრეტენზია ჰქონდეს მეცნიერების სტატუსზე?

ა. დისციპლინის ბუნება

ჩვენ მივეჩვიეთ, რომ აკადემიური ცოდნის სხვადასხვა დარგი `დისციპლინებად` მოვიხსენიოთ. ამასთანავე საჭიროა ყურადღების გამახვილება ამ ტერმინის უფრო ფართო მნიშვნელობაზე. *ოქსფორდის ინგლისური ენის მოკლე ლექსიკონში* ტერმინი „დისციპლინა“ სხვადასხვაგვარად არის განმარტებული: `სწავლების შემადგენელი ნაწილი; მენტალური და მორალური წვრთნა, რომლის არარსებობამ

¹ ადრე, არც თუ ისე იშვიათად და ნაჩქარევად, პროფესიონალიზმი ამ სფეროში `ამერიკანიზაციას` ნიშნავდა. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ შესავალში და ამას ახალი სახელმძღვანელოს ავტორთა შემადგენლობაც ადასტურებს, პოლიტიკური მეცნიერის პროფესია სულ უფრო მეტ ინტერნაციონალიზაციას განიცდის. ეს შეეხება როგორც პროფესიულ კონტინგენტს, ისე პროფესიულ ინტერესებს.

ზიანი შეიძლება მოიტანოს; სამხედრო მომზადება, მუშტრა...; წესრიგი, რომელიც შენარჩუნებულია სკოლის მოსწავლეებს, ჯარისკაცებს, პატიმრებსა და სხვებს შორის; ქცევის წესების სისტემა; ეკლესიის მრევლზე განხორციელებული კონტროლი; ფიზიკური დასჯა; (საეკლესიო) ეპითემიის დადება.

უკანასკნელი განმარტება ნაკლებად უნდა მიესადაგებოდეს აკადემიურ დისციპლინას, მაგრამ დანარჩენებს მეტწილად აშკარა კავშირი აქვს მასთან. აკადემიური `დისციპლინა` ყველაზე ნაკლებადაა დაკავშირებული `დასჯის` ცნებასთან, ყოველ შემთხვევაში, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით (Foucault 1977). თუმცა სწავლული საზოგადოება, რომელიც ერთობლივად ქმნის ამა თუ იმ დისციპლინას, უნდა ახორციელებდეს მკაცრ ზედამხედველობით კონტროლს როგორც ამ სფეროში მოღვაწეებზე, ისე მათზე, ვისაც ამის გაკეთების განზრახვა აქვს. ამასთან მეორე შემთხვევაში ასეთი კონტროლის ხასიათი გაცილებით უფრო მკაცრია. `შენარჩუნებული წესრიგი` მოცემულ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, განსხვავდება სამხედრო ან სასკოლო დისციპლინისაგან და მკვლევართა მომზადება სულაც არ წააგავს მუშტრას. და მაინც, არსებობს გარკვეული მკაცრი მნიშვნელობა იმისა (თუმცა ეს დროთა განმავლობაში იცვლება), თუ რა არის და რა არ არის `კარგი` მოცემულ დისციპლინაში; არსებობს აუცილებელი ხერხების გარკვეული რაოდენობა, რომელთა გარეშეც შეუძლებელია მოცემულ დისციპლინაში `დახელოვნება`.

ყველა სტანდარტული ტერმინი, რომელიც აკადემიური დისციპლინების აღწერისათვის გამოიყენება, მომდინარეობს ერთი და იმავე კონცეპტუალური წყაროებიდან. ბევრი, მაგალითად, ამჯობინებს, პოლიტიკური ანალიზი მიიჩნის `ხელოვნებად` ან `ხელობად` და არა `მეცნიერებად`, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით (Wildawski 1979). პოლიტიკაში დაოსტატება შესაძლებელია ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა `ხელობაში`, ანუ შეგირდობით (აკადემიურ ხელობაში – `სწავლით`), აღიარებული `ოსტატის` ხელმძღვანელობით. სხვები პოლიტიკას `მოწოდებად`² მიიჩნევენ (Weber 1919/1946). სიმართლე რომ

² ამ თვალსაზრისს ემხრობიან პ. ბერგერი (Berger: 1963) და პ. მედაუარი (Meadawar: 1989; იხ. თავი 2). შეუძლებელია არ გავისხენოთ ფ. მ. კორნფორდის ღირსეულად დაფასებული ნაშრომი *Microcosmographica Academia* (Cornford 1908).

ითქვას, ეს უფრო მეტად მოწოდებაა, ვიდრე ხელობა, უფრო სამუშაოა, ვიდრე ჰობი. ამასთანავე, როგორც რელიგიური, ისე აკადემიური მნიშვნელობით, მოწოდება გულისხმობს სამსახურს რაღაც უზენაესი ძალისადმი (იქნება ეს აკადემიური საზოგადოება თუ ღმერთი). საბოლოო ჯამში, მრავალი ჩვენთაგანი აკადემიური დისციპლინებზე საუბრობს, როგორც `პროფესიებზე`. ეს აზრი შესანიშნავად გამოხატა დუაით ვალდომ (Waldo 1975: 123): `მეცნიერებამ იცის, პროფესიონალი მკვლევრები კი აღიარებენ`. მეცნიერები მართლაც აღიარებენ თავიანთი კოლექტიური რწმენის კოდექსს.

რა კუთხითაც არ უნდა შევხედოთ, დისციპლინების უდიდესი ნაწილი მართლაც შეიძლება მივამსგავსოთ მომთხოვნ ზედამხედველებს. თუმცა ამა თუ იმ დისციპლინის ტრადიცია და პრაქტიკა, რომელიც ესოდენ მკაცრად შემოზღუდულ ჩარჩოებში გვაქცევს, იმავდროულად გთავაზობს ახალ შემოქმედებით შესაძლებლობებს. ჩარჩოები, რომლებსაც დისციპლინარული ტრადიცია აყალიბებს, როგორც შეგნებულად, ისე უნებლიედ, მეცნიერის ყურადღების კვლევითი ამოცანებისკენ მიმართავს და აადვილებს თანამშრომლობას. დისციპლინარული ჩარჩოებით თავსმოხვეული თამაშის წესების სტრუქტურა საშუალებას იძლევა, გადავწყვიტოთ ესა თუ ის ამოცანა იმ მყარ სამირკველზე დაყრდნობით, რომელიც შექმნეს დიდმა მეცნიერებმა, ამავე დროს გიგანტებს, შესაძლებლობა ეძლევათ წინ წაწიონ მეცნიერება ჩვეულებრივი ნიჭის პრაქტიკოსების ძალისხმევაზე დაყრდნობით.³

ამგვარად, აკადემიკური თუ სხვა ტიპის დისციპლინა თვითშეზღუდვის მექანიზმის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს. მორჩილება დისციპლინისადმი ან, მ. დოგანის თქმით (იხ. ქვემოთ, თავი 3), სწავლულთა ჰიბრიდისადმი, სამუშაოს ხარისხისა და მისი ეფექტურობის უეჭველ გაზრდას იწვევს, როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური თვალსაზრისით. ეს მართალია როგორც მეცნიერების `ვარსკვლავებისა` და `ზანგების`, ისე `ახალგაზრდა თურქებისა` და `ქაღარაწვეროსნების` შემთხვევაში.

³ ერთდროულად მიღწეული მნიშვნელოვანი სამეცნიერო შედეგების შესახებ იხ. რ. მერტონთან `მრავალჯერად აღმოჩენებზე` მსჯელობისას (Merton 1973).

აკადემიური ცოდნის დარგები იმდენადვეა `პროფესიები`, რამდენადაც დისციპლინები. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიონალებს აქვთ საკმაოდ მაღალი სოციალური სტატუსი. ეროვნული და საერთაშორისო `პროფესიული ასოციაციებისთვის` უმნიშვნელო როდია ამ სტატუსის დაცვა, ან მკვლევართა შემოსავლების უზრუნველყოფა. თუმცა ტერმინი `პროფესიონალი` ასევე მიუთითებს ადამიანის გარკვეულ დამოკიდებულებაზე საკუთარი სამუშაოსადმი და ეს არანაკლებ მნიშვნელოვანია. პროფესია წარმოადგენს თვითორგანიზებულ კოლექტივს, რომელიც ორიენტირებულია გარკვეულ, მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ამოცანებსა და ფუნქციებზე. პროფესიული საზოგადოება ხასიათდება განსხვავებული ამოცანებით და ფუნქციებით და მნიშვნელოვანწილად ზღუდავს საკუთარ თავს ნებაყოფლობით აღებული ვალდებულებებით, დაიცვას კონკრეტული სტანდარტები და ქცევის ნორმები. მასში შესული პროფესიონალები ემორჩილებიან ამ სტანდარტებს და ნორმებს, მისგან გამოსულნი ფასდებიან ამ საზოგადოებაში მიღებული კრიტერიუმების შესაბამისად. ამ პროფესიულ სტანდარტებსა და ნორმებს ემყარება, ერთი მხრივ, მხოლოდ პროფესიონალთა ურთიერთშეფასება, მეორე მხრივ კი, საკუთარი მიღწევების მიმართ "კრიტიკული დამოკიდებულება".⁴

რა თქმა უნდა, სტანდარტებისა და ნორმების სპეციფიკა იცვლება პროფესიიდან პროფესიამდე, მაგრამ ნებისმიერ პროფესიაში არსებობს `მინიმალური პროფესიული კომპეტენციის` განცდა, რომელსაც უზრუნველყოფს `საკვალიფიკაციო გამოცდების` რიტუალი. ეს `რიტუალი` სასწავლო პროგრამის მაღალი საფეხურის დასრულების შემდეგ უნდა გაიარონ ჩრდილოეთ ამერიკის ახალგაზრდა სწავლულებმა, რომელთაც მიზნად აქვთ პოლიტიკის მკვლევარებად გახდომა. გარდა ამისა, ნებისმიერ პროფესიაში არსებობს განსაკუთრებულ `პასუხისმგებლობათა როლის` ცნება, რომელიც სამეცნიერო საზოგადოების ყველა წევრს საკუთარ პროფესიასთან აკავშირებს. სწავლულთა ამ კატეგორიის პროფესიული ეთიკა არ მოიცავს სიკვდილ-

⁴ გარკვეულწილად, სხვადასხვა ქვეყნების იურიდიული სისტემების გავრცელებულ ნორმებს ანალოგიური გზით განსაზღვრავს ჰარტი (Hart 1961). პროფესიული საზოგადოებების არსის თაობაზე, ასევე მათი წევრების ამ საზოგადოებების მიმართ დამოკიდებულების შესახებ იხ.: Hughes 1958 და Parsons 1968.

სიცოცხლის პრობლემებს, როგორც ეს ხდება ექიმების ან იურისტების შემთხვევაში. პრაქტიკულად ყველა აკადემიურ პროფესიას აქვს სულ უფრო მეტად ფორმალიზებული ეთიკური კოდექსები, რომელთა ნორმებიც უპირატესად ეხება ქცევის ერთიან სტანდარტებთან და კვლევის შედეგების გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ საკითხებს. იგულისხმება, რომ ყველა პროფესიონალმა ზემოთქმული პატიოსნად უნდა დაიცვას (APSA 1991).

სხვა საკითხებთან ერთად, ეს თავის მოიცავს გაზრდილი 'პროფესიონალიზმის' თემას მთლიანად პოლიტიკურ მეცნიერებაში. პირველ რიგში, აქ ვგულისხმობთ თანხმობას 'ერთიანი მიდგომის' შესახებ, რომელიც აუცილებელია 'მინიმალური პროფესიული კომპეტენციის' დონის განსასაზღვრად. თავის მხრივ, ეს მოცემულ დარგში მუშაობის წინაპირობაა. გარდა ამისა, ვგულისხმობთ სამუშაოს შეფასების (უფრო მეტად საკუთარი, ვიდრე სხვების შრომის) ტენდენციას პროფესიული დახვეწის სულ უფრო მზარდი მოთხოვნების პოზიციიდან.

თუკი მინიმალურ სტანდარტებთან დაკავშირებით გარკვეული საერთო წარმოდგენები არსებობს, შეხედულებები მაღალი პროფესიონალიზმის შესახებ მრავალი და სხვადასხვაგვარია. და მაინც, მედიცინის მსგავსად, პოლიტიკური მეცნიერების თითოეულ ქვედისციპლინაში არსებობს დაოსტატების საკუთარი შინაგანი სტანდარტები, რომელთა საფუძველზეც შესაბამისად ფასდება ამა თუ იმ მეცნიერის დამსახურებანი. მედიცინის მსგავსად, პოლიტიკურ მეცნიერებას აქვს პრიორიტეტების გარკვეული სკალა, რომელიც გვეხმარება განისაზღვროს ყველა მისი შემადგენელი სპეციალობის ადგილი და მნიშვნელობა, რომლებიც უფრო დიდ ერთობას ქმნიან.

ბ. რა არის პოლიტიკა?

ზემოთ გამოთქმული შენიშვნები, ზოგადი თვალსაზრისით, თითქმის ყველა აკადემიურ დისციპლინას შეეხება. დისციპლინები ერთმანეთისგან განსხვავდებიან მრავალი თვალსაზრისით, პირველ რიგში კი, მათ წინაშე არსებული ამოცანებითა და ამ ამოცანების გადაწყვეტის მეთოდოლოგიით. თუმცა, როგორც ჩვენ ვცდილობთ დავამტკიცოთ, პოლიტიკურ მეცნიერებაში არსებობს არაერთი სასარგებ-

ლო ხერხი, რომლებსაც იყენებენ მკვლევრები ძირითად ქვედისციპლინებში. ალკერი (იხ. ქვემოთ, თავი 35) უდავოდ მართალია იმის მტკიცებისას, რომ პოლიტიკურ მეცნიერებას ზოგიერთი სხვა სამეცნიერო დისციპლინის მსგავსად, არ გააჩნია საკუთარი ერთიანი მეთოდოლოგია და იგი არ ცდილობს მის წინაშე არსებული ამოცანების გადაწყვეტას საკუთარი მეთოდოლოგიით. პოლიტიკური მეცნიერება, როგორც დისციპლინა, უფრო მეტად განისაზღვრება საკუთარი კვლევის საგნით, ანუ იმით, რომ ფიქსირებულია `პოლიტიკაზე`, ამ უკანასკნელის მრავალგვარი გამოვლინებებით.

`პოლიტიკა` ყველაზე ზუსტად შეიძლება დახასიათდეს, როგორც *სოციალური ძალაუფლების შეზღუდული გამოყენება*. ამ განსაზღვრების მიხედვით, პოლიტიკის შესწავლა, როგორც აკადემიური წრეების წარმომადგენლების, ისე პრაქტიკოსი პოლიტიკოსების მიერ, შეიძლებოდა დაგვეხასიათებინა, როგორც *ამ შეზღუდვების ბუნებისა და წყაროს*, ასევე *სოციალური ძალაუფლების გამოყენების ტექნიკის* შესწავლა.⁵

ძალაუფლების ტერმინოლოგიით პოლიტიკის განსაზღვრისას ჩვენ მივსდევთ ჩვენი წინამორბედების გზას.⁶ დღეს კარგადაა ცნობილი, რომ `ძალაუფლების` ცნების კონცეპტუალური გააზრება შეიცავს ფარულ საფრთხეებს.⁷ ჩვენ კარგად ვიცნობთ პრობლემის სირთულეს, ამიტომაც არ გვსურს ჩავეფლოთ უნაყოფო დისკუსიებში. ძალაუფლების ნეოვებერიანული განმარტება, რომელიც რ. დალმა (Dahl 1957) შე-

⁵ ამგვარი განმარტება, თავის მხრივ, გამოვლინდა დისციპლინის ორმაგი ფოკუსირების სახით, რომლის შესახებაც საუბრობს ალმონდი (იხ. ქვემოთ, თავი 2): `პოლიტიკური ინსტიტუტების მახასიათებლებისა და ჩვენ მიერ მათი შეფასებისათვის გამოყენებული კრიტერიუმების შესახებ`.

⁶ მათ შორის აღსანიშნავია: Weber 1922/1978; Lasswell 1950; Lasswell and Caplan 1950, Dahl 1963 და Duverger 1964/1966. მათ მსგავსად, ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ სწორედ `სოციალურ ძალაუფლებაზე`, სხვა ადამიანებზე განხორციელებულ ძალაუფლებაზე

⁷ რასელის, ჟუვენელისა და დალის (Russel 1938; Jouvel 1948; Dahl 1957, 1961b, 1963) კლასიკურ ნაშრომებს უკანასკნელ ხანებში დაემატა ლიუკსის, ზერის და მორისის შრომები (Lukes 1974; Barry 1989; Morris 1987).

მოგვთავაზა, დღემდე აქტუალურია. ამის შესაბამისად, X ფლობს ძალაუფლებას Y-ზე, რამეთუ: 1) X-ს ამა თუ იმ გზით შეუძლია აიძულოს Y-ს რაიმეს გაკეთება; 2) ეს შეესაბამება X-ის ინტერესებს; 3) თვითონ Y-იც სხვაგვარად არ მოიქცეოდა.

ჩვენი ანალიზი ტრადიციას სცილდება იმ თვალსაზრისით, რომ განსაზღვრავს პოლიტიკას, როგორც ძალაუფლების შეზღუდული გამოყენების მცდელობას. ჩვენი თვალსაზრისით, ძალაუფლების შეუზღუდავი გამოყენება სხვა არაფერია, თუ არა ჩვეულებრივი უხეში ძალა. მას არავითარი კავშირი არ აქვს პოლიტიკურ ძალაუფლებასთან, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ გადახრას – შეზღუდული მნიშვნელობის შემთხვევას. უხეში, წმინდა ძალა, პირდაპირი მნიშვნელობით, ფიზიკის (ან მისი სოციალური ანალოგების – სამხედრო მეცნიერებისა თუ საბრძოლო ხელოვნების) შესწავლის საგანია და არავითარ შემთხვევაში პოლიტიკისა.⁸ პოლიტიკის არსი, ჩვენი აზრით, სწორედ პოლიტიკური აქტორებისათვის დაკისრებულ შეზღუდვებსა და იმ სტრატეგიულ მანევრებშია, რომლებიც ამ შეზღუდვებითაა გამოწვეული და ამავე ფარგლებში ხდება.⁹ პოლიტიკის შესწავლის ცენტრში ალბათ სწორედ ამ შეზღუდვების ანალიზი დგას: საიდან წარ-

⁸ მაგალითად, აბსოლუტურ დიქტატორზე, რომელიც შეუზღუდავი ძალაუფლების მიღწევას ესწრაფვის, ზოგჯერ სავსებით მართებულად ითქმის, რომ ის ცდილობს (თანაც ყოველთვის წარუმატებლად) გამოვიდეს პოლიტიკის ჩარჩოებიდან.

⁹ განვიხილოთ მონათესავე დისციპლინიდან აღებული ანალოგია: ფილოსოფოსები ლაპარაკობენ 'დამარწმუნებელი' მოსაზრებების, 'დამაჯერებელი' არგუმენტების პოზიციიდან და ა.შ. (Nozick 1981: 4-6). მაგრამ წარმოვიდგინოთ ისეთი არგუმენტი, რომელსაც, თუკი დავუჯერებთ, მოკვდებით. თუნდაც მაშინ, როდესაც ეს არგუმენტი დამაჯერებელია, მისი მეშვეობით რაიმე პოზიციის დაცვა წარმოადგება ჭეშმარიტი ფილოსოფიური დისპუტის თავისებურ ანტითეზად, რომლის არსიც კომპრომისის მიებაა. თუ პოლიტიკის არსს წარმოადგენს სტრატეგიული მანევრირება (Riker 1986), მაშინ დაუძლეველი ძალები, რომლებიც ადგილს არ ტოვებენ აუცილებელი მანევრისათვის, შეადგენენ მის ანტითეზას (იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა წარმატებას მიაღწევს ის, ვინც ამ დაუძლეველ ძალებს სხვების დასამორჩილებლად მართავს)

მოდგებიან, როგორ მოქმედებენ და რას მოიმოქმედებენ მათი არსებობის პირობებში პოლიტიკური აგენტები.¹⁰

ჩვენ ვლაპარაკობთ, ფართო გაგებით, სოციალური ძალაუფლების გამოყენებაზე (და არა მის გამოვლინებაზე ვიწრო გაგებით), მანევრირების იმ მრავალრიცხოვან შესაძლებლობებზე, რომლებიც არსებული შეზღუდვების პირობებში პოლიტიკური აგენტების განკარგულებაშია. მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ მათი წინასწარგანზრახული მოქმედებანი, არამედ ის გაუთვალისწინებელი შედეგებიც, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ამ მიზანმიმართულ მოქმედებებს (Merton 1936). ჩვენ ვგულისხმობთ როგორც ფარულ პოლიტიკურ მანიპულაციებს, ისე ღია პოლიტიკურ თამაშებს (Schattschneider 1960; Goodin 1980; Riker 1986), ასევე – მასში ხელისუფლების აქტიურ და პასიურ მოქმედებას, ქვევის ინტერნალიზებულ ნორმებს და საგარეო საფრთხეებს (Bachrach and Baratz 1963; Lukes 1974). გარდა ამისა, ეს მოიცავს ავადსახსენებელი `მოსალოდნელი რეაქციების კანონს`, გადაწყვეტილებების არმიღებას და ხალხის პრიორიტეტების ჰეგემონურ ფორმირებას (Laclau and Mouffe 1985), რასაც გულისხმობს პოლიტიკის უფრო ფართო გაგება.

აქვე უნდა გამოვთქვათ კიდევ ერთი მოსაზრება ამ კონცეფციასთან დაკავშირებით: პოლიტიკის დეფინიციისას (და მის შესწავლისას), ჩვენ განზრახ ვემიჯნებით `პოლიტიკის` ლასუელისეულ (Lasswell 1950) კლასიკური ფორმულირებას, ანუ წმინდა დისტრიბუციულ ტრადიციას – `ვინ, როდის და რას იღებს`.¹¹ სავსებით შესაძლებელია, რომ ნებისმიერი პოლიტიკური აქტის შედეგი ამა თუ იმ დონეზე დაკავშირებულია კეთილდღეობისა და დოვლათის გადანაწილებასთან. შესაძლოა, ისიც მართალია, რომ მეტწილად სწორედ ამით აიხსნება ჩვენი ინტერესი მოცემული მოვლენისადმი. თუმცა, იმ თვალსაზრისით, თუ რა აზრი აქვს მოცემულ აქტს საკუთრივ აქტორისათვის, მრავალი პოლიტიკური ქმედება, ყოველ შემთხვევაში საწ-

¹⁰ ამ შემთხვევაში ჩვენ მივდევთ (თუმცა თავისუფლად) კრიკს (Krick 1962)

¹¹ ასევე ისტონის (Easton 1965) განსაზღვრების შესაბამისად, პოლიტიკა განიხილება, როგორც ფასეულობათა ავტორიტარული გადანაწილება, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება საზოგადოებაში `ფასეული ნივთების` განაწილებას

ყის ეტაპზე, ამჟამად მოწყვეტილია გადანაწილების პროცესს. ასევე საბოლოო ანალიზისას ზოგიერთი პოლიტიკური ინტერაქციის სოციალურ მნიშვნელობათა დიდი ნაწილი, როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური, არ შეიძლება დავიყვანოთ საზოგადოებრივი `ნამცხვის` განაწილების ბანალურ საკითხებამდე. დისტრიბუციულ, მარეგულირებელ, რედისტრიბუციულ (Lowi 1964) და იდენტურობის განმსაზღვრელ (Sandel 1982) პოლიტიკას აქვს საკუთარი გამორჩეული სტილი. განაწილებისათვის ბრძოლა, საყოველთაო კეთილდღეობის კონცეფციის მომხრე ეკონომისტების თვალსაზრისით, მხოლოდ არაფრისმომცემი ხმაურია იმის შესახებ, თუ რამდენად მიუახლოვდა საზოგადოება პარეტოს მიერ განსაზღვრულ მიზანს. ამასთანავე, პარეტოს მიერ განსაზღვრული ამ საზოგადოების შექმნა თავისთავად სადავო საკითხია, რომლის გადაწყვეტაც დიდწილად დამოკიდებულია სრულიად სხვა სახის პოლიტიკურ მანევრებზე, რომლებიც ხშირად, ყოველ შემთხვევაში დასაწყისში, არანაირ კავშირში არაა განაწილებასთან. მაგრამ თუკი მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკის ჩვენეული გაგება ეხმიანებოდეს განაწილებისთვის ბრძოლას, მაშინ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყველა საკითხი მხოლოდ ამ კუთხით არ გაანალიზდეს.

გ. პოლიტიკის რამდენიმე მეცნიერება

დიდი ძალისხმევა დაიხარჯა იმის გასარკვევად, არის თუ არა პოლიტიკის შესწავლა ჭეშმარიტი მეცნიერება და რას გულისხმობს ეს. პასუხი დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა შინაარსს ჩავდებთ ცნებაში `მეცნიერება`. ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ მეცნიერების მინიმალისტურ დეფინიციას, რომლის მიხედვითაც, ეს არის მხოლოდ `სისტემური კვლევა, მიმართული ემპირიული სამყაროს შესახებ მოწესრიგებული წარმოდგენების სულ უფრო მეტად დიფერენცირებული კომპლექსებისკენ.`¹² ამ განზრახ ლაკონური ტერმინი-

¹² ეს განსაზღვრება უკავშირდება Wissenschaft-ის ტრადიციებს, ოდესღაც გავრცელებულს გერმანულ უნივერსიტეტებში, საიდანაც პოლიტიკური მეცნიერება ამერიკელებმა XIX საუკუნეში საკუთარ ქვეყანაში გადაიტ-

დან გამომდინარე, არ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ პოლიტიკის შესწავლას არ შეიძლება ჰქონდეს სამეცნიერო პრეტენზია.

მაგრამ ბევრი ამ ცნებაში, რა თქმა უნდა, სხვა მნიშვნელობას დებს. მაგალითად, @`მეცნიერების” ცნების განსაზღვრისას ლოგიკური პოზიტივიზმის წარმომადგენელს შეეძლო შეედგინა `ყოვლისმომცველი კანონების` მთელი ნუსხა, რომელთაგან ერთის დარღვევაც კი ცოდნის რომელიმე დარგს წაართმევდა ამ მაღალი სტატუსის მოპოვების საშუალებას. ნათელია, რომ პოლიტიკური მეცნიერება ალბათ ვერ შეძლებდა ამ სახის ნუსხაში ჩამოთვლილი ყველა პირობის დაკმაყოფილებას. საქმე ისაა, რომ პოლიტიკური მეცნიერების ფუძემდებლურ ჭეშმარიტებათა არსებული სისტემატიზაციის მიუხედავად, მის დასკვნებს არსებითად ვარაუდის ფორმა აქვს და, როგორც ჩანს, განწირულია დარჩეს ასეთად. ტერმინები `ყოველთვის` და `არასდროს`, რომლებთანაც საქმე აქვს ლოგიკოს პოზიტივისტს, რომელიც ამუშავებს საყოველთაო კანონებს, იშვიათად გამოიყენება პოლიტიკის სამყაროში, სადაც მოვლენები შეიძლება მხოლოდ `მეტ-ნაკლები ალბათობით` მოხდეს.

ამგვარი ვითარების ამხსნელ მიზეზად არ კმარა ის, რომ ჩვენი განმარტებითი მოდელები არასრულყოფილია და არც ის, რომ თანამშრომლობაში ჩართულია სხვა ფაქტორები, რომლებიც ჯერ არ გამოვლენილა. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს მიზეზებიც არსებობს. პოლიტიკური მეცნიერების პოზიტივისტურ მოდელში ამგვარი შეცდომების სიღრმისეული მიზეზი საკუთრივ კვლევის სუბიექტის ბუნების არასწორ გაგებაში უნდა ვეძებოთ. ყოვლისმომცველი კანონის მოდელი შეიძლება (ან თუ არ შეიძლება, ეს უკვე სხვა პრობლემაა) წარმატებით იყოს გამოყენებული ბილიარდის ბურთულების მოძრაობის შესწავლისას ნიუტონის მექანიკის კანონების ზემოქმედებით: ამ შემთხვევაში სავსებით ზუსტად შეიძლება თითოეული მოქმედების შედეგების წინასწარმეტყველება და მათი მიზეზების გარკვევა იმ ძალების ამოწურვით, რომლებიც ზემოქმედებენ ამგვარ `აქტორებზე`. მაგრამ ადამიანები, მიუხედავად იმისა, რომ, რა თქმა უნდა წარმოადგენენ გარკვეული მიზეზების ზემოქმედების ობიექტებს, იმავე დროს არიან წინასწარი განზრახვით მოქმედი აქტორები, რომლებსაც აქვთ გაცნობიერების

ანეს (Waldo 1975: 25-30) და რომლისკენაც თანამედროვე `პოლიტიკის მკვლევრები` ამჟამად ბრუნდებიან (Rivlin 1971).

და მასზე დამყარებული მოქმედების უნარი. `რწმენა~, `მიზანი~, `განზრახვა~, `მნიშვნელობა~ – ყველა ამ ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა ქცევის ასახსნელად, რაც ძირეულად განსხვავდება ბილიარდის ბურთულების `ქმედებისაგან~. პოლიტიკურ მეცნიერებაში შესწავლის სუბიექტები ისევე, როგორც ნებისმიერ სოციალურ მეცნიერებაში, სრულიად განსხვავებული ონტოლოგიური სტატუსის მატარებლები არიან, ვიდრე ბილიარდის ბურთულები. აქედან გამომდინარე, საყოველთაო კანონის მოდელი, შემუშავებული ლოგიკური პოზიტივიზმის მიერ, ადამიანთა მოდემის შესწავლისას სრულიად მიუღებელია ისევე, როგორც საკუთრივ ბილიარდის ბურთულების შემთხვევაშიც.¹³

იმის თქმა, რომ პოლიტიკური პრობლემების სამეცნიერო გაგება აუცილებლად უნდა შეიცავდეს კომპონენტს, დაკავშირებულს იმ მნიშვნელობასთან, რომელსაც ატარებს მოცემული აქტი აქტორისათვის, სულაც არ ნიშნავს იმ ფაქტის უარყოფას, რომ პოლიტიკური მეცნიერება ნებისმიერი სამეცნიერო ცოდნისათვის დამახასიათებელ ყველა ატრიბუტს ფლობს. მათემატიკური მოდელირება და სტატისტიკური შემოწმება დღეს ისევე აუცილებელია, როგორც წარსულში.¹⁴ ყველაფერი, რის შეცვლაც საჭიროა, არის მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია. მონაცემები, რომლებსაც ჩვენ ვიღებთ ამ ინსტრუმენტების გამოყენებით, ამიერიდან განიხილება არა იმდენად გარეგანი ძალების ულმობელ ზემოქმედებად პასიურ აქტორებზე, არამედ ჩვეულებრივ პირობებში ჩვეულებრივი ადამიანების ბუნებრივ რეაქციად. შეიძლება შეიცვალოს `თამაშის პირობები~. კიდევ უფრო მეტად

¹³ ამ საკითხების საფუძვლიანი მიმოხილვისათვის იხ.: Hollis 1977, Taylor 1985, პოლიტიკურ მეცნიერებასთან მიმართებაში იხ.: Moon 1975; Almon and Genco 1977. პოსტპოზიტივისტური რეაქცია ამგვარ ჰერმენევტულ პრობლემებზე მკაფიოდ აისახა ახალი სახელმძღვანელოს მრავალ თავში და განხილული წინამდებარე თავის III C პარაგრაფში.

¹⁴ მართლაც, პოლიტიკური მეცნიერების ზოგიერთმა ყველაზე მნიშვნელოვანმა შედეგმა, რომლებიც უკანასკნელ ხანებში მიღებულია მათემატიკური მეთოდების გამოყენებით, გამოიწვია `რაციონალური აქტორის~ მოდელის შექმნა. ამ მოდელის მამომრავებელ ძალას საკუთრივ ინდივიდების რაციონალური არჩევანი უფრო წარმოადგენს, ვიდრე გარეგანი მიზეზების ზემოქმედება.

ექვემდებარება ცვლილებას გარეგანი გარემოებები და ამ მიზეზით პოლიტიკის სფეროში აღმოჩენილი ჭეშმარიტებანი უფრო ნაკლებად `უნივერსალურია`, ვიდრე ნიუტონის ფიზიკის კანონები. და მიუხედავად ამისა, რამდენადაც მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად ჩვენ ვაპირებთ საკუთრივ `თამაშის წესებსა` და გარემოებებში მომხდარი ცვლილებების მოდელირებას (მეტ-ნაკლები სიზუსტით), არსებობს იმის ვარაუდის საფუძველი, რომ დავა საკითხის შესახებ, არის თუ არა ცოდნის ეს ამორფული და ბუნდოვანი დარგი ჭეშმარიტი მეცნიერება, თანდათანობით დასრულდება.

II პროფესიის სიმწიფის ხანა

ახალი სახელმძღვანელოს თავები, ერთად აღებული, ყველაზე მკაფიოდ მეტყველებს პოლიტიკური მეცნიერების, როგორც დისციპლინის, სიმწიფის ზრდაზე. თუ რამდენად არის მიღწეული `პროგრესი`, როგორც ოპტიმისტურად შენიშნავს გებრიელ ალმონდი (Aიხ. ქვემოთ, თავი 2), უკვე სრულიად სხვა საკითხია. მაგრამ სიმწიფე, გაგებული განვითარების ტრადიციული მნიშვნელობით, როგორც სხვა ადამიანების თვალთახედვიდან საგნების დანახვის მზარდი უნარი, არსებითად მართლაც მიღწეულია ამ დისციპლინის სხვადასხვა დარგებში.

ყოველთვის ასე არ ყოფილა. `ბიჰევიორისტული რევოლუცია` თავისი აპოგეის დროს დიდწილად ახლოს იდგა იაკობინელთა მოღვაწეობასთან. ამ ანალოგიის გასაგრძელებლად სულაც არ იქნება გადაჭარბებული იმის თქმა, რომ მასზე რეაქცია აშკარა თერმიდორი იყო. ადრეული ბიჰევიორიზმის დროის რევოლუციონერები, თავის მხრივ, მოწოდებულნი იყვნენ, მოესპოთ ფორმალიზმი პოლიტიკაში – პოლიტიკური ინსტიტუტები, ორგანიზაციული სქემები, კონსტიტუციური მითები და იურიდიული ფიქცია, როგორც წმინდა წყლის სიცრუე. ისინი, რომლებიც ბიჰევიორისტულმა რევოლუციამ უკან დასწია ისევე, როგორც ისინი, ვინც მოგვიანებით ცდილობდა საკუთრივ ეს მიდგომა გადაეწია უკან, ერთნაირი გააფთრებით ცდილობდნენ

ჩირქი მოეცხოთ ახალი დისციპლინის სამეცნიერო პრეტენზიების-თვის და საამისოდ ადრინდელ მოაზროვნეებს იმოწმებდნენ.¹⁵

ერთი თაობის შემდეგ ისტორია განმეორდა, მაგრამ ამჯერად რევოლუციონერების როლში გამოვიდნენ 'რაციონალური არჩევანის' მომხრეები, რომლებიც ცდილობდნენ ბიჰევიორისტების მიერ ფსიქოლოგიიდან ნასესხები მყიფე ლოგიკა ფორმალური წესრიგით და მათემატიკური სიზუსტით შეეცვალათ. ბრძოლამ კვლავაც მანიქე-ისტური ხასიათი (კეთილი ბოროტის წინააღმდეგ) შეიძინა. შეუწყნარებელი იყო ნებისმიერი კომპრომისი. თეორიული ერთიანობისა და ეკონომიურობის სახელით რაციონალური არჩევანის მომხრეები (ყოველ შემთხვევაში დასაწყისში) ცდილობდნენ ნებისმიერი პოლიტიკა ვიწრო მატერიალური ინტერესების ურთიერთქმედებამდე დაეყვანათ. ამ პროცესში მათ უკუაგდეს როგორც საზოგადოების ფასეულობები, პრინციპები და პიროვნული მიდრეკილებები, ასევე ხალხთა ისტორია და ინსტიტუტები.¹⁶ როგორც რაციონალურმა არჩევანმა, ისე ბიჰევიორისტულმა რევოლუციამ, მრავალი დიდებული გამარჯვება მოიპოვა (Popkin et al. 1976), თუმცა მარცხიც ბევრი იყო.

¹⁵ ზოგიერთი ბიჰევიორისტული სადი მოსაზრება შეიძლება ინახოს დალის (Dahl 1961a) და რანის (Ranney 1962) ადრეულ ნაშრომებში. ინსტიტუციონალისტების გონივრული მსჯელობები, რომლებიც ბიჰევიორისტთა წინააღმდეგ გამოდიოდნენ, შეიძლება ინახოს რიდლის (Ridley 1975) და ჯონსონის (Jonson 1989) ნაშრომებში. ფილოსოფიური ფრთის ანტისამეცნიერო რეაქცია ყველაზე უკეთ წარმოდგენილია ალბათ ოუკ-შოტთან (Oakshott 1951/1956) და სტრეტონთან (Stretton 1969). რაც შეეხება პოსტბიჰევიორისტულ პოზიციებს, მეტად ნიშანდობლივია უოლინის (Wolin 1960), მაკკოისა და ფლიეფორდის (McCoy and Playford 1968), ისტონის (Easton 1969) ნაშრომები. მეცნიერების ფილოსოფიის კუთხიდან ეს ტენდენცია საუკეთესოაა წარმოდგენილი ჯ. მუნის მიერ (Moon 1975) გრინშტაინ-პოლსბის ცნობარში.

¹⁶ ამ სახის ადრეული კლასიკური განცხადებებისთვის იხ.: Mitchel 1969 და Riker and Ordeshook 1973. ამ მიმართულების წარმომადგენელთა შეხედულებების კრიტიკისათვის იხ.: Goodin (1976), Sen 1977 და North 1990. მიმდინარეობს რაციონალური არჩევანის მოდელის სრულყოფა იმ (შესაძლოა, არასაკმარის დონეზე, იხ. Offe, ქვემოთ თავი 29) და შესაძლებელი ხდება მათი სულ უფრო ხშირი გამოყენება თანამედროვე გამოკვლევებში (Kiewiet 1983; Mansbridge 1990; Monroe 1991).

ამ ორი რევოლუციური პერიოდისგან განსხვავებით, ამჟამად პოლიტიკური მეცნიერება, როგორც ჩანს, მყარად დადგა სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომების გაერთიანების გზაზე. ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი ამ დაახლოებაში შეიტანა `ახალმა ინსტიტუციონალიზმმა`, რომლის შესახებაც მომდევნო თავებში ვისაუბრებთ. პოლიტიკური მეცნიერები ამიერიდან უკვე აღარ ამახვილებენ ყურადღებას მხოლოდ აგენტებზე თუ სტრუქტურაზე, ინტერესებზე თუ ინსტიტუტებზე, როგორც მამოძრავებელ ძალებზე. სერიოზულ მკვლევართა უმრავლესობა Fiტყოდა, რომ აუცილებელია ყველა ამ ფაქტორის გონივრული შეთავსება (Rotshtein, იხ. ქვემოთ, თავი 5; Weingast, იხ. ქვემოთ, თავი 6, Majone, იხ. ქვემოთ, თავი 26, Alt and Alesina, იხ. ქვემოთ, თავი 28, Offe, იხ. ქვემოთ, თავი 29). პოლიტოლოგები უკვე აღარ აზროვნებენ მხოლოდ ბიჰევიორისტული სქემებით თუ ორგანიზაციული ქარტიებით. პოლიტიკური მეცნიერების ნებისმიერი მკვლევარი ამჟამად ალბათ იტყოდა, რომ ესაა ქვევის ანალიზის საკითხი არსებული ინსტიტუტებისა და შესაძლებლობების პირობებში (Pappi, იხ. ქვემოთ, თავი 9; Dunleavy, იხ. ქვემოთ, თავი 10). პოლიტიკური მეცნიერები უკვე აღარ აზროვნებენ მხოლოდ/ან რაციონალიზმის ან ჩვეულების ცნებებით. რაციონალური არჩევანის მოდელის ნებისმიერი სერიოზული მომხრე ამჟამად სათანადოდ აფასებს იმ შეზღუდვებს, რომელთა პირობებშიც ადამიანები ახორციელებენ პოლიტიკურ ქმედებებს და საკუთარ კონცეპტუალურ მოდელებს პოლიტიკური ფსიქოლოგების დასკვნებით ამდიდრებენ (Pappi, იხ. ქვემოთ, თავი 9; Grofman, იხ. ქვემოთ, თავი 30). პოლიტიკური მეცნიერები უკვე აღარ აზროვნებენ მხოლოდ რეალიზმისა და იდეალიზმის ცნებებით, ინტერესებით ან იდეებით ისტორიის მამოძრავებელი ძალების მიმართ. მკვლევრები აღიარებენ ორივე მათგანის არსებით როლს (Goldmann, იხ. ქვემოთ, თავი 16; Sanders, იხ. ქვემოთ, თავი 17; Keohane, იხ. ქვემოთ, თავი 19; Nelson, იხ. ქვემოთ, თავი 24; Majone, იხ. ქვემოთ, თავი 26). პოლიტიკური მეცნიერები უკვე აღარ აზროვნებენ მხოლოდ მოვლენათა აღწერილობით და ყოვლისმომცველი, ფართო ხასიათის კვლევით ან გულდასმით შერჩეული თავისთავად უნიკალური case-study-ით. ფაქტობრივად, ყველასთვის ღირებულია ლოკა-

* სამეცნიერო თვისობრივი მეთოდი, რომელიც, ტიპოლოგიზაციისაგან განსხვავებით, შეისწავლის ცალკეულ, უნიკალურ და ინდივიდუალიზ-

ლური დეტალების გათვალისწინება და სისტემატური, სტატისტიკურ გამოთვლებზე დამყარებული კვლევის შესაძლებლობები ყველაზე მცირე მასშტაბის საკვლევ სიტუაციებშიც კი. (Whitehead, იხ. ქვემოთ, თავი 14; Ragin et al. იხ. ქვემოთ, თავი 33). არც ერთი სერიოზული პოლიტიკის მკვლევარი უკვე აღარ აზროვნებს მხოლოდ მეცნიერების ისტორიის ტერმინებით, რასაც უკიდურესობამდე და გამოუვალ სირთულეებამდე მიჰყავდა ხისტი დეტერმინაცია. ეკონომეტრიის რიგ-ხობრივად საკმაოდ შემცირებული მომხრეებიც კი დღეს იძულებულნი არიან, აღიარონ შეფასებითი პროცედურების ღირსება, რომელიც მეტად მგრძობიარეა `პატური` ეფექტებისადმი (Jackson, იხ. ქვემოთ, თავი 32). ადრე არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთქმედების გამარტივებული მოდელები უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვანწილად დაიხვეწა (Hofferbert and Cingranelli, იხ. ქვემოთ, თავი 25; Alt and Alesina, იხ. ქვემოთ, თავი 28).

ამ მიმართულებით პოზიციები ერთმანეთს დაუახლოვდა. თუმცა გაცილებით მნიშვნელოვანია, რა გზით იქნა ეს მიღწეული. მნიშვნელოვანია ის სულისკვეთებაც, რომლითაც განიმსჭვალა სახეცვლილი დისციპლინა. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული მეცნიერი თუ კვლევითი ჯგუფი ელემენტთა სხვადასხვაგვარ კომბინაციას უჭერს მხარს, უმთავრესია ის, რომ ურთიერთდათმობასა და შეთანხმებას შეხვდნენ სიხარულით და არა უკმაყოფილებით. ყოველივე ეს არ გამომდინარეობდა პლურალიზმის იდეიდან – `იცხოვრე და სხვებსაც მიეცი ცხოვრების საშუალება`, არც პოსტმოდერნული ნიჰილიზმიდან. თანხმობისა და შუალედური კომპრომისების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო არსებული სიტუაციის გაცნობიერებამ, ნათელმა წარმოდგენამ იმ შედეგების შესახებ, რომლებიც შესაძლებელი ალტერნატიული გადაწყვეტილებებიდან და გონივრული კომბინაციების მკაფიო გააზრებიდან მომდინარეობს.¹⁷ შედეგი უეჭველად ეკლექტურია,

ებულ შემთხვევას (მთარგმნ. შენიშვნა).

¹⁷ მაგალითისათვის გასათვალისწინებელია ფიორინას (Fiorina 1995) *modus operandi*: `მე ჩემს სტუდენტებს ვასწავლი, რომ რაციონალური არჩევანის მოდელებს ყველაზე მეტი სარგებელი მოაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ფსონი საკმაოდ მაღალია და შემთხვევათა რიცხვი – მცირე. ეს ააშკარავებს იმ ქმედებათა არარაციონალობას, რომლებიც მიმართულია მაქსიმისაციისაკენ იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება ჩვეულებრივ

მაგრამ ეს უფრო მოწესრიგებული ეკლექტიკაა, ვიდრე წმინდა წყლის პოპური სხვადასხვა მეთოდებისა.

ამ მიმართულებით პოზიციები ერთმანეთს დაუახლოვდა. თუმცა გაცილებით მნიშვნელოვანია, რა გზით იქნა ეს მიღწეული. მნიშვნელოვანია ის სულისკვეთებაც, რომლითაც განიმსჭვალა სახეც-ვლილი დისციპლინა. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული მეცნიერი თუ კვლევითი ჯგუფი ელემენტთა სხვადასხვაგვარ კომბინაციას უჭერს მხარს, უმთავრესია ის, რომ ურთიერთდათმობასა და შეთანხმებას შეხვდნენ სიხარულით და არა უკმაყოფილებით. ყოველივე ეს არ გამომდინარეობდა პლურალიზმის იდეიდან – `იცხოვრე და სხვებსაც მიეცი ცხოვრების საშუალება`, არც პოსტმოდერნული ნიჰილიზმიდან. თანხმობისა და შუალედური კომპრომისების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო არსებული სიტუაციის გაცნობიერებამ, ნათელმა წარმოდგენამ იმ შედეგების შესახებ, რომლებიც შესაძლებელი ალტერნატიული გადაწყვეტილებებიდან და გონივრული კომბინაციების მკაფიო გააზრებიდან მომდინარეობს.¹⁸ შედეგი უეჭველად ეკლექტიურია, მაგრამ ეს უფრო მოწესრიგებული ეკლექტიკაა, ვიდრე წმინდა წყლის პოპური სხვადასხვა მეთოდებისა.

პოლიტიკურ მეცნიერთა თანამედროვე თაობა, წინამორბედებთან შედარებით, ინდივიდუალურად და მთლიანობაში, აღჭურ-

შედეგებს ან/და სადაც თქვენს საკუთარ ქმედებებს არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება... ამგვარად, მასების ქცევაზე მუშაობისას მე ვიყენებ რაციონალურობის მინიმალისტურ ცნებებს (Fiorina 1981: 83), მაშინ, როცა ელიტების შესახებ მუშაობისას ვუშვებ რაციონალურობის უფრო მაღალ დონეს (Fiorina 1989: chaps.5, 11)

¹⁸ მაგალითისათვის გასათვალისწინებელია ფიორინას (Fiorina 1995) *modus operandi*: `მე ჩემს სტუდენტებს ვასწავლი, რომ რაციონალური არჩევანის მოდელებს ყველაზე მეტი სარგებელი მოაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ფსონი საკმაოდ მაღალია და შემთხვევათა რიცხვი – მცირე. ეს ააშკარავებს იმ ქმედებათა არარაციონალობას, რომლებიც მიმართულია მაქსიმიზაციისაკენ იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება ჩვეულებრივ შედეგებს ან/და სადაც თქვენს საკუთარ ქმედებებს არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება... ამგვარად, მასების ქცევაზე მუშაობისას მე ვიყენებ რაციონალურობის მინიმალისტურ ცნებებს (Fiorina 1981: 83), მაშინ, როცა ელიტების შესახებ მუშაობისას ვუშვებ რაციონალურობის უფრო მაღალ დონეს (Fiorina 1989: chaps.5, 11)

ვილია ინსტრუმენტების უფრო მდიდარი არსენალით. მათი მცირე ნაწილი, ვინც 70-იან წლებში განათლება მიიღო სახელმწიფო ინსტიტუტებში, შემდგომში შეიძლება უსაფუძვლოდ შეაშინოს (ან აღფრთოვანოს) ბიჰევიორისტულ ფსიქოლოგიაში, ემპირიულ სოციოლოგიაში ან მათემატიკურ ეკონომიკაში გამოყენებულმა თეორიებმა ან მეთოდებმა. შესაძლოა, ვინმე ამა თუ იმ თეორიას ანიჭებდეს უპირატესობას, თუმცა დღეს თითოეული მათგანი იმდენად იქნება დახელოვნებული ამ მეთოდოლოგიურ ტრადიციებში, რომ შეძლებს, გარემოებათა შესაბამისად ისესხოს ან მიითვისოს, უარყოს ან უკუაგდოს ისინი.¹⁹

არსებობს დისციპლინის ისტორიის გადმოცემის მრავალი ხერხი. განმეორებით მოყოლილი ისტორია კი გვასწავლის, თუ როგორ ავარიდოთ თავი უარესს, რათა მივაღწიოთ უკეთეს შედეგებს სამომავლოდ. ერთ-ერთი მათგანი, თუკი აღმასვლისა და დაშვების ტერმინებით ვიტყვით, შეიძლება `გურუს` გზას შევადაროთ. თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების წინაისტორიის არაპროდუქტიული პერიოდებისათვის ისევე, როგორც XIX საუკუნის შუა ხანების პოლიტიკური ფილოსოფიისათვის, დამახასიათებელი იყო სამეცნიერო საზოგადოების განსაკუთრებული ორგანიზაციის ფორმა – `გურუები` და მათ გარშემო თავმოყრილი მიმდევრების ბანაკები. ამასთანავე, კონტაქტი მეტრებს შორის მინიმალური იყო, მათ მომხრეებს შორის კი პრაქტიკულად არც არსებობდა.²⁰ ყრუთა ეს დიალოგი პროდუქტიულ თანამშრომლობაზე დამყარებულ საქმიანობად იქცა მხო-

¹⁹ ამგვარი დახელოვნების შესანიშნავ ნიმუშებად შეიძლება ჩაითვალოს ელსტერის “ტექნიკური ცვლილებების ახსნა” (Elster 1983) და პატნემის “მომუშავე დემოკრატია” (Putnam 1993). ელსტერი და პატნემი უჩვეულო ნიჭით დაჯილდოებული მოღვაწეები არიან, რომლებიც საუკუნის მიწურულის პოლიტიკური მეცნიერების თუ არა ტიპურ, ჭეშმარიტ წარმომადგენლებად მაინც შეიძლება მივიჩნიოთ.

²⁰ შეადარეთ. დოგანის (Dogan, *ib.* ქვემოთ, თავი 3) მიერ საუკუნის მიწურულის სოციოლოგების – დიურკემის, ვებერის, ტიონისის – “ურთიერთუფლებელყოფის” განხილვა, აგრეთვე 1930-იან წლებში ჩიკაგოსა და ჰარვარდის სკოლებს შორის მეტოქეობის ზიმელისა და ვალდოსეული აღწერა (Waldo 1975: 47-50), პარეჩის (Parech, *ib.* ქვემოთ, თავი 21) მიერ საუკუნის შუა ხანების ფილოსოფიის ანალიზი

ლოდ მას შემდეგ, რაც განცალკევებულ ჯგუფებად დაყოფას ჩაენაცვლა განცდა საერთო საქმისა და დღის წესრიგში დადგა საერთო დისციპლინარული პრობლემები.²¹

იმდროინდელმა ვითარებამ სხვა რამეც გვასწავლა – ურთიერთგაგება, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა ერთობლივი მოღვაწეობა, როგორც საკუთრივ ლიბერალურ პოლიტიკაში (Rawls 1993), ისე ლიბერალურ ხელოვნებაში უფრო ზოგადი მნიშვნელობით, მიღწეულ იქნა *modus vivendi*, რაც საკმარისია ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის აკადემიური დისციპლინის ფარგლებში და შესაძლებელია მხოლოდ ანალიზისა და განზოგადების ქვედა დონეებზე. სრული სისულელე იქნებოდა ამა თუ იმ ხერხით დანაწევრებულ და სხვადასხვა პოზიციაზე მდგომ სწავლულთა საზოგადოებისთვის ფუძემდებლური საკითხების შესახებ მცდარი და მყიფე კონსენსუსის თავსმოხვევის მცდელობა, იქნებოდა ეს გამოხატული მეცნიერების ფილოსოფიის ჭეშმარიტი ცნებებით (ლოგიკური პოზიტივიზმით ან მისი ალტერნატივებით) თუ საზოგადოების ერთადერთი ჭეშმარიტი თეორიით (სტრუქტურული ფუნქციონალიზმით, სისტემების თეორიით, რაციონალური არჩევანით თუ სხვა).

დაუსრულებელი დისკუსია საფუძვლების შესახებ სულაც არაა აუცილებელი და, აგრეთვე არაპროდუქტიულია. მეცნიერების `თითოეული ჭანჭიკის`, მეცნიერების სამენი მასალის შესახებ შეთანხმებიდან დისციპლინის ურთიერთგაზიარებული მნიშვნელობის საყოველთაო აღიარებამდე გრძელი გზაა (Elster 1989). თითქმის ყოველ-

²¹ მართლაც, როგორც აღნიშნავს მილერი (Miller, იხ. ქვემოთ, თავი 10), ამ მოვლენათა ადრეული ეტაპისთვის – ამ შემთხვევაში იგულისხმება ბიჰევიორისტული რევოლუცია – აგრეთვე დამახასიათებელი იყო სწორედ ამ ტიპის დისციპლინათაშორისი დიალოგი. იგივე შეიძლება ითქვას `საზოგადოებრივი არჩევანის` მოძრაობაზე, რომელიც ჩამოყალიბდა და განვითარდა საზოგადოებრივი ფინანსების ეკონომისტთა (ბიუკენენი, ოლსონი), იურისტების (ტალოკი), პოლიტიკური მეცნიერების (რაიკერი, ოსტრომი) და სოციოლოგების (კოლემანი) თანამშრომლობის საფუძველზე. სწორედ ისინი ჩაუდგნენ სათავეში “Public Choice Society”-ის, რაც პოლიტიკური მეცნიერების ყველა ქვედისციპლინისათვის საერთო საფუძვლების შემუშავების დასაწყისს მოასწავებდა. ამის თაობაზე იხ. Almond 1990 და Easton and Schelling 1991.

თვის შეიძლება დისციპლინის ერთ-ერთ სფეროში თავდაპირველად ჩამოყალიბებული ხერხების, ინსტრუმენტებისა და თეორიების გადატანა სხვა გარემოებებზე – *mutatis mutandis*. მრავალრიცხოვან მუტაციას, ადაპტაციას და ხელახალ ინტერპრეტაციას მართლაც ხშირად მოეთხოვება ნასესხები ხერხების მისადაგება ახალი ამოცანებისადმი. მაგრამ სესხება, ურთიერთგამდიდრება, ჰიბრიდიზაცია და კონცეპტუალური სივრცე, რომელიც ფარავს სესხად აღებისა და გაცემის ურთიერთობის ორივე მხარეს, სწორედ ისაა, რაც, როგორც ჩანს, განსაზღვრავს თანამედროვე ეპოქაში სამეცნიერო პროგრესის (Dogan, იხ. ქვემოთ, თავი 3).

თუმცა საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა ყოველივე ეს `მეცნიერება`, ამ სიტყვის მკაცრი გაგებით, უმჯობესია ღიად დავეტოვოთ და მისი საბოლოო გადაწყვეტა იმ დრომდე გადავდოთ, როდესაც საკუთრივ მეცნიერების ფილოსოფოსები დაასრულებენ გაუთავებელ დისკუსიას და შეთანხმდებიან მეცნიერების `ჭეშმარიტი` ბუნების რაობაზე. მეცნიერების უმკაცრესი დეფინიციის სტანდარტებით, რომელთაც ქვემოთ გთავაზობთ (პარაგრაფი IC) – `სისტემატური კვლევა, რომელიც მიმართულია ემპირიული სამყაროს შესახებ მოწესრიგებული წარმოდგენების სულ უფრო მეტად დიფერენცირებული კომპლექსის შექმნისაკენ` – შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა დისციპლინამ უფრო სამეცნიერო ხასიათი შეიძინა. უეჭველია, რომ ის ამჟამად უფრო დიფერენცირებულია როგორც შინაგანი სტრუქტურის, ისე სამყაროს შესახებ ჩამოყალიბებული დებულებების თვალსაზრისით.

ამასთან ერთად, ღიად რჩება კიდევ ერთი კითხვა – ხელს უწყობს თუ უშლის სამეცნიერო ცოდნის ზრდა სინამდვილის ჭეშმარიტად მეცნიერულ გაცნობიერებას. ეს კითხვად მაინც ღიად რჩება, მიუხედავად იმისა, რამდენად უკეთ ვეცნობით გარემომცველ სამყაროს მისი დანაწევრებისას. მეტი სულაც არ ნიშნავს უკეთესს. მეტაფიზიკოსები საკუთარ ამოცანას განსაზღვრავენ, როგორც `სინამდვილის შემადგენელ ნაწილებად დაყოფას`. მეცნიერების თეორიული საფუძვლების შექმნისას მკვლევარებს ყოველთვის ემუქრებათ საფრთხე, არა მარტო მთლიანობის დანაწევრებისა, არამედ შემადგენელი ნაწილების ზედმეტად ოჭარბი რაოდენობის მიღებისა. ყოველდღიურობის რუტინული პრობლემების განსჯის მსგავსი არაფრისმომტანი თეორიზაცია, ისევე შეიძლება იქცეს სერიოზულ წინაღობად პოლიტიკური

მეცნიერების ჭეშმარიტი გაგებისათვის, როგორც სხვა მრავალი სოციალური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებისათვის.

მათი დანიშნულება, ვინც ქვედისციპლინებში პროფესიონალურად მოიხსნევა და ვისაც მეცნიერების ინტეგრატორს ვუწოდებთ, ამგვარი უკიდურესობების გადალახვაა. მათ რთულ ამოცანას შეადგენს სამეცნიერო ცოდნის ცალკეული ნაწილებისგან შესასწავლი საგნის გარკვეული საერთო სურათის შექმნა. ქვემოთ (იხ. პარაგრაფი IV) ნაჩვენებია, რომ ჩვენი თვალსაზრისით, მათ შესანიშნავად გაართვეს თავი ამ რთულ საქმეს.

III პროფესიონალიზმის კრიტერიუმები

პროფესიული დაოსტატების ზრდა სხვადასხვაგვარად მქდავანდება. ალბათ უმნიშვნელოვანია ის, რომ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე პრაქტიკოსი მკვლევრები, სულ მცირე, ეყრდნობიან ერთსა და იმავე მეთოდოლოგიურ ტექნიკას და იყენებენ ერთსა და იმავე ფუძემდებლურ ნაშრომებს. ყოველივე ეს ათასგვარადაა უზრუნველყოფილი სწავლების მაღალ საფეხურზე უმაღლეს სასწავლებლებში, მიჩიგანისა და ესექსის ზაფხულის სკოლებში, ასევე პროფესიულ საქმიანობაში, სწავლებასა და კვლევით მუშაობაში. ამ საერთო მონაცემთა სიღრმე და დეტალები უმნიშვნელოდ ვარიირებს ქვეყნის ან კონკრეტული დარგის მიხედვით.²² მიუხედავად ამისა, ყველა თანამედროვე პოლიტოლოგი მშვენივრად აღიქვამს რეგრესიულ ტოლობებს და ნებისმიერი მათგანი, ყოველ შემთხვევაში, კარგად მაინც იცნობს დარგის კლასიკად აღიარებულ ნაშრომების კოროპუსს.

ა. კლასიკური ნაშრომები

პოლიტიკური მეცნიერება, როგორც სხვა ნებისმიერი საბუნებისმეტყველო და სოციალური მეცნიერება, სულ უფრო მეტად ხდება

²² საერთო მეთოდოლოგიური მონაცემების ჩამოყალიბება ყველაზე კარგად განხილულია გალტუნგის (Galtung 1967) და კინგის, ქეოჰინისა და ვერბას (King, Keohane and Verba 1994) შრომებში..

გამოქვეყნებულ ნაშრომებზე დაფუძნებული დისციპლინა. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი კვლევების შედეგები კვლავინდებურად წიგნის ფორმით გამოიცემა, აკადემიურ ჟურნალებში გამოქვეყნებული ზოგიერთი სტატია კი არასდროს გარდაიქმნება მონოგრაფიად და მრავალი სერიოზული სამეცნიერო დისკუსია მხოლოდ ჟურნალების ფურცლებზე რჩება.²³ ჩვენი პროფესიის საერთო მონაპოვარი, ჩვენი დისციპლინის *lingua franca* და მომავალი წინსვლის საფუძველი შემდეგი ნაშრომებია: ალმონდისა და ვერბას *სამოქალაქო კულტურა* (Almond and Verba 1963); კემპბელის, კონვერსის, მილერის და სტოუკის *ამერიკელი ამომრჩეველი* (Campbell, Converse, Miller and Stokes 1960); დალის *ვინ მართავს* (Dahl 1961b); დარენდორფის *კლასი და კლასობრივი კონფლიქტი ინდუსტრიულ საზოგადოებაში* (Dahrendorf 1959); დოიჩის *მთავრობის ნერვები* (Deutsch 1963) დაუნსის *დემოკრატიის ეკონომიკური თეორია* (Downs 1957); ისტონის *პოლიტიკური ცხოვრების სისტემური ანალიზი* (Easton 1965); ჰანტინგტონის *პოლიტიკური წესრიგი ცვლად საზოგადოებებში* (Huntington 1968); კის *პასუხიმგებლობის მქონე ელექტორატი* (Key 1966); ლეინის *პოლიტიკური იდეოლოგია* (Lane 1962); ლინდბლომის *დემოკრატიის გონი* (Lindblom 1965); ლიპსეტის *პოლიტიკური ადამიანი* (Lipset 1960); მურის *დიქტატურისა და დემოკრატიის სოციალური საფუძვლები* (Moore 1966); ნოიშტადტის *პრეზიდენტის ძალაუფლება* (Neustadt 1960) და ოლსონის *კოლექტიური მოქმედების ლოგიკა* (Olson 1965).²⁴

პოლიტიკური მეცნიერების ახალი პროფესიონალიზმის ერთ-ერთ განმსაზღვრელი გამოვლინებაა `ერთბაშად კლასიკად ქცევის`

²³ მაგალითად, მარშალი ამ დისციპლინას განიხილავს ომისშემდგომი პერიოდის ემპირიული (ამ შემთხვევაში, ბრიტანული) სოციოლოგიის ათი `კლასიკური` ნაშრომის პოზიციიდან (Marshall 1990).

²⁴ წინა თაობისათვის ამგვარადვე უმნიშვნელოვანესი ნაშრომები იყო: დიუვერჟეს *პოლიტიკური პარტიები* (Duverger 1951/1954); კის *პოლიტიკა, პარტიები და ზეწოლის ჯგუფები* (Key 1942) და *სამხრეთის პოლიტიკა* (Key 1950); შუმპეტერის *კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია* (Shumpeter 1943) და საიმონის *ადმინისტრაციული ქცევა* (Simon 1951).

ფენომენი.²⁵ ესაა წიგნები, რომლებიც თითქმის გამოქვეყნებისთანავე ხვდება კანონიკურ ნაშრომთა რიცხვში, რომელთა შესახებ ცოდნაც, გაგონილის დონეზე მაინც, თავისთავად კარგ ტონად ითვლება. დიდხანს დარჩება თუ არა ეს `ერთბაშად კლასიკად ქცეული` ნაშრომები ფუძემდებლური შრომების რიცხვში, ჯერჯერობით უცნობია. ახალი სახელმძღვანელოს თითოეულ თავში გამოყენებული ლიტერატურის ანალიზისას თვალშისაცემია, რომ ცალკეული ქვედისციპლინის სპეციალისტები თანამედროვე ნაშრომთა უმრავლესობიდან მხოლოდ უახლეს გამოცემებს ეყრდნობიან. ახალ სახელმძღვანელოში ჩამოთვლილი პუბლიკაციების სამ მეოთხედზე მეტი, როგორც ეს ჩანს დამატებიდან 1A, იბეჭდებოდა ოცი წლის მანძილზე ძველი სახელმძღვანელოს 1975 წლის გამოცემის შემდეგ, 30 პროცენტზე მეტი კი გამოქვეყნდა უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში.²⁶ ვიღაცამ შეიძლება შენიშნოს, რომ ამგვარი მსჯელობა წმინდა წყლის ნაყვია. სხვებმა, უფრო კეთილგანწყობილებმა, შეიძლება მიიჩნიონ, რომ ამგვარი მდგომარეობა გარდაუვლად ასახავს ძველი მიღწევების საფუძველზე ახალი ცოდნის დაგროვების პროცესს და ახასიათებს ნებისმიერი სამეცნიერო დისციპლინის განვითარებას. ამასთან ერთად, საიდანაც არ უნდა მომდინარეობდეს ეს ფენომენი, თვალსაჩინო ჭეშმარიტებას წარმოადგენს, რომ ზოგიერთმა ნაშრომმა, რომელთა შესახებაც ფართო დისკუსიები გაიმართა, შემდგომში, პროფესიული თვალსაზრისით, არსებითად დაკარგა აქტუალობა.²⁷

²⁵ პირველად ეს შენიშვნა ბრაიან ბერიმ (Barry 1974) ჰირშმანის ოდნავ ადრე გამოცემულ ნაშრომთან დაკავშირებით (Hirschman 1970).

²⁶ ეს ფაქტი ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას იმით, რომ ახალი სახელმძღვანელოს პირველი სამი სექციის თითოეული ქვეთავის ავტორებს სთხოვეს, ყურადღება გაემახვილებინათ 1975 წელს გრინშტეინ-პოლსბის სახელმძღვანელოს გამოქვეყნების შემდეგ წამოჭრილ პრობლემებზე (მხოლოდ `თითოეული სექციის `ძველი და ახალი` თავების ავტორებს სთხოვეს უფრო ადრინდელი მოვლენების გათვალისწინებაც). გვიანდელი ფაქტები არ შეიძლება და ახსნილიყო კონტექსტიდან მოწყვეტით..

²⁷ შესაძლოა, უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში გამოცემულ ამგვარ ნაშრომთა ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშებს წარმოადგენს ლინდბლომის “პოლიტიკა და ბაზრები”: (Linblom 1977) და ტაფტის “პოლიტიკური კონტროლი ეკონომიკაზე” (Tuftte, 1978). ორივე ფართოდ განიხილებოდა

უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე დისციპლინის არსებითი განვითარების მოკლედ წარმოსაჩენად საუკეთესო გზა იმ `მნიშვნელოვანი წიგნების` ჩამონათვალია, რომლებმაც აღნიშნულ პერიოდში ხელი შეუწყვეს დარგში სამეცნიერო-პროფესიულ ზრდას. სია გრძელია, ცხადია, არასრულიც და, ნებისმიერ შემთხვევაში, სადა-ვოა მისი საზღვრები. როგორც ეს ზოგადად ხდება სოციალურ მეცნიერებაში, ჩამონათვალი მკაცრად ინგლისურენოვანია და დიდწილად შეერთებულ შტატებზეა ორიენტირებული. თუმცა, ნებისმიერი მიდგომის გათვალისწინებით, ამ თანამედროვე კლასიკურ ნაშრომებში უნდა შედიოდეს:

- გრეჰემ ალისონის *გადაწყვეტილების არსი* (Allison 1971);
- რობერტ აქსელროდის *თანამშრომლობის ევოლუცია* (Axelrod 1984);
- სემუელ ბარნესის, მაქს კააზესა და სხვათა *პოლიტიკური ქმედება* (Barnes, Kaase et al. 1979);
- მორის ფიორინას *ამერიკის ნაციონალურ არჩევნებში ხმის მიცემის რეტროსპექტივა* (Fiorina 1981);
- რონალდ ინგლეჰარტის *უხმაურო რევოლუცია* (Inglehart 1977);
- ელინორ ოსტრომის *თემთა მმართველობა* (Ostrom 1990);
- თედა სკოპპოლის *სახელმწიფოები და სოციალური რევოლუცია* (Skokpol 1979);
- სიდნეი ვერბას და ნორმან ნაის *პოლიტიკური მონაწილეობა ამერიკაში* (Verba and Nie 1972);

უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში ყველაზე ფართოდ განხილულ წიგნებს შორის, რომლებიც ზემოთ მოყვანილ სიას შეიძლება დაერთოს, არის კინგის, ქეოჰეინის და ვერბას *სოციალური გამოკვლევის დაგეგმარება* (KKing, Keohane and Verba 1994) და რობერტ პატნემის *მომუშავე დემოკრატია* (Putnam 1993).

აღნიშნული პერიოდის დასაწყისში, მაგრამ ახალი სახელმძღვანელოს თავებში მათი დამოწმება, რამდენადაც საკვირველი არ უნდა იყოს, იშვიათად ხდება სხვა უახლეს ლიტერატურასთან შედარებით, რომლებსაც ხსენებული ნაშრომების გავლენის კვალი აშკარად ეტყობათ.

ბ. საჭირბოროტო თემები

ჩვენ პოლიტიკა განვსაზღვრეთ, როგორც სოციალური ძალაუფლების შეზღუდული გამოყენება. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ნებისმიერი სიახლე, რომელიც შეიძლება მოიცვას ამ დეფინიციამ, მთავარ აქცენტს აკეთებს შეზღუდვაზე, როგორც პოლიტიკის გაგების გასაღებზე. მაგრამ ეს სიახლე მხოლოდ ჩვენი გამოგონება არაა. პოლიტიკა, როგორც შეზღუდვა და შეზღუდული პოლიტიკა ამა თუ იმ სახით უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში პოლიტიკური მეცნიერების ფუძემდებლური თემა იყო.²⁸

როგორც უკვე აღინიშნა, წიგნის ყველა მომდევნო თავი მიუთითებს პოლიტიკურ ცხოვრებაში ინსტიტუციონალური ფაქტორების მნიშვნელობის ხელახალ აღიარებაზე. `ახალი ინსტიტუციონალიზმის` აღმავლობას თან დაერთო ისიც, რომ ჩამოყალიბდა ისტორიის, შემთხვევითობის, წესებისა და რეჟიმების, როგორც პოლიტიკის შემზღუდველების, ახლებური გაგება. რა თქმა უნდა, ამ დისციპლინის შექმნამდეც არსებობდა თვალსაზრისი, რომ `ისტორიას ანგარიში უნდა გაეწიოს`. მათთვის, ვისაც საკუთარი პროფესიული თვალთახედვიდან ეჭვი შეჰქონდა ლიპსეტის და როკანის (Lipset and Rocca 1967) `გაყინულ აზრთა სხვადასხვაობის` ცნებებში ან მურის (Moore 1966) კომუნიზმის და ფაშიზმისა თუ საპარლამენტო დემოკრატიის განვითარების მოდელებში, თუნდაც ბერნემის (Burnham 1970) `კრიტიკული გარდაქმნის` თეორიებში, მხოლოდ უმნიშვნელო სიახლეს წარმოადგენდა ის აზრი, რომ წარსულის გადამწყვეტ მომენტებში კოალიციურ სტრუქტურებს შეეძლო მრავალწლიანი პერსპექტივით წინასწარ განესაზღვრა პოლიტიკური ცხოვრების მდინარება. თუმცა ამჟამად ახალი ინსტიტუციონალისტური თემები ცენტრალურად იქცა მთლიანად პოლიტიკური მეცნიერების დისციპლინაში. ამ თვალსაზრისით, უმთავრეს მაგალითს წარმოადგენს ორი თანამედროვე კლასიკური ნაშრომი პოლიტიკის ისტორიაში: სკოპპოლის ჯარისკაცებისა და დედების დაცვა: *სოციალური პოლიტიკის საფუძვლები შეერთე-*

²⁸ სხვა თვალსაზრისით, ასევე ვლინდება მზარდი ინტერესი სახელმწიფო აპარატის მიერ თავისი ფუნქციების შესრულების უნარის შემცირებისადმი. იხ.: Rose and Peters 1978; Norlinger 1981 და Flora 1986.

ბულ შტატებში (Skocpol 1992) და ორენის დაგვიანებული ფეოდალიზმი: შრომა, კანონი და ლიბერალური განვითარება შეერთებულ შტატებში (Orren 1991).

ამრიგად, ისტორიის მემკვიდრეობა წარმოადგენს ერთ-ერთ შეზღუდვას, რომელზეც მიგვითითებს ახალი ინსტიტუციონალიზმი. მეორე ჩაბუდებული და ჩადუღაბებულია სოციალური წესებისა და რეჟიმების ბუნებაში, მათ პრაქტიკასა და შესაძლებლობებში. სოციალური ცხოვრების ამ მოდელში, რომელიც რუსულ თოჯინას ('მატრიოშკას') შეიძლება შევადაროთ, ზედაპირთან შედარებით ახლოს აღმოჩნდება ჩვეულებრივი მაქინაციები. თუმცა, თუკი ყველაზე მარტივ სამართლებრივ მაგალითს ავიღებთ, წესები, რომლებსაც ჩვენ ვახსენებთ, გამოიყვანება კონსტიტუციური ხასიათის უფრო მაღალი დონის პრინციპებიდან. როგორც ახლახანს ბევრმა აღმოაჩინა, კონსტიტუციის შემოქმედნიც არ არიან ბოლომდე თავისუფალნი, 'უზენაესი' კანონებიც კი ემყარება რაღაც უფრო მაღალ პრინციპებს, წესებსა და პროცედურებს, რომელთა წარმომავლობაც ყოველთვის როდი ატარებს იურიდიულ ხასიათს. საკვებით მართებულად, იგივე შეიძლება ითქვას ყველა დანარჩენი ტიპის პრაქტიკულ მოღვაწეობაზე, პროცედურებზე, წესებსა და რეჟიმებზე, რომლებიც ერთობლივად განსაზღვრავენ საზოგადოებრივი ცხოვრების ჩარჩოებს. მათგან არავინაა თავისუფალი, ყველა და ყველაფერი განსაზღვრულია მათი ცნებებით, ისინი ყველგანაა და შეჭრილია ანალოგიური პროცედურების დანარჩენ ტიპებში, წესებსა და რეჟიმებში. ყოველთვის არსებობს რაღაც უზენაესი ინსტანცია. ამგვარ ურთიერთობათა თითოეულ კომპლექსს უკავია გარკვეული ადგილი კიდევ უფრო ფუნდამენტური და ავტორიტარული წესებისა და რეჟიმების, პრაქტიკული მოღვაწეობისა და პროცედურების აღმავალ იერარქიაში (North 1990; Tsebelis 1990; Easton 1990; Weingast, *ib. ქვემოთ*, თავი 5; Alt and Alesina, *ib. ქვემოთ*, თავი 28; *ib. Braybrooke and Lindblom 1963*).

რა თქმა უნდა, ამ მყარად ფესვგადგმული წესებისა და რეჟიმების, პრაქტიკული მოღვაწეობისა და პროცედურების უკან დგას ჩვეულებრივი სოციალურ-ეკონომიკური შეზღუდვები. შესაძლოა, სოციალური ორგანიზაციის ყველაზე ღრმა ასპექტები მყარია მხოლოდ იმ მიზეზით, რომ სოციოლოგიურად კარგად ნაცნობი და ხელშესახებად პროდუქტიულია. ამიტომ, საბოლოო ჯამში, მათი ძლიერების პირველადი წყარო შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ერთგვარი შეზ-

ლუდვა სოციალური ძალაუფლების გამოყენებისას. მეტწილად სოციალური წესრიგის ეს ღრმად გამჯდარი ასპექტები შეუმჩნევლად მქლავნდება და ზეგავლენას ახდენს ადამიანთა ცხოვრებაზე ძალდატანებისა და ზედმეტი კითხვების გარეშე. მათი ძლიერების პირველადი წყაროები შემზღვევლების სახით არასოდესაა თვალშისაცემი (Granovetter 1985).

სხვადასხვა დროს სოციალური ძალაუფლების გამოყენება განისაზღვრებოდა და იზღუდებოდა სოციალურ-ეკონომიკური ძალებით, რომლებიც სოციალური ცხოვრების ზედაპირზე მოქმედებდნენ. ეს შეიძლება მოყირჳებულ თემად მოგვეჩვენოს, რომელსაც დაუსრულებლად უბრუნდება ყველა მარქსიდან (Marx 1852/1972b; 1871/1972a) და ბირდიდან (Beard 1913) მოყოლებული. მიუხედავად ამისა, ის კვლავაც იწვევს თანამედროვე კლასიკოსთა ინტერესს ფორმალიზაციისა და განვითარების პოზიციების თვალსაზრისით, რაც აისახა ისეთ ნაშრომებში, როგორცაა ლინდბლომის პოლიტიკა და ბაზრები (Lindblom 1977) და ტაფტის ეკონომიკის პოლიტიკური კონტროლი (Tufte 1978). გასაკვირია, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია სათქმელი ამ თემების შესახებ, თუკი ვიმსჯელებთ ისეთი უახლესი ნაშრომებიდან გამომდინარე, როგორცაა პრზევოსკისა და შპრაგის ქვები (Przeworski and Sprague 1986), სადაც განხილულია სოციალურ-ეკონომიკური ლოგიკა, რომელიც ზღუდავს ელექტორალური სოციალიზმის პერსპექტივებს, და როგოვსკის კომერცია და კოალიციები (Rogowski, *Commerce and Coalitions*, 1989), რომელშიც შინა კოალიციების სტრუქტურა განიხილება საგარეო სავაჭრო ინტერესების პოზიციებიდან.

სოციალური ძალაუფლების გამოყენება ასევე შეზღუდულია კიდევ ერთი გარემოებით, რომელსაც მხოლოდ ახლახანს მიაქციეს ყურადღება პოლიტიკური მეცნიერების სხვადასხვა დარგში. აქ ნაგულისხმევი შეზღუდვები კოგნიტური ხასიათისაა და დაკავშირებულია წმინდა (უფრო სწორად პრაქტიკული) გონების შეზღუდულ შესაძლებლობებთან. პოლიტიკის სოციოლოგებმა და ფსიქოლოგებმა უკვე დიდი ხანია ყურადღება მიაქციეს პოლიტიკური ცხოვრების ირაციონალურ და არარაციონალურ ასპექტებს. ეს წარმოდგენილია ნაშრომებში სოციალიზაციისა და იდეოლოგიის მექანიზმების შესახებ მასების ცნობიერების სისტემების შიგნით (Jennings and Miemi 1981; Converse 1964). თუმცა დღეს რაციონალური არჩევანის მოდელის მომ-

ბრენიც კი სათანადოდ აფასებენ ანალიტიკურ შესაძლებლობებს, რომლებსაც გზა გაეხსნა ინფორმაციის სისრულისა და აბსოლუტურ რაციონალობაზე პრეტენზიების შესუსტების პირობებში (Simon 1954; 1985; Bell, Raiffa and Tversky 1988; Popkin 1991; Pappi, იხ. ქვემოთ, თავი 9, GRofman, იხ. ქვემოთ, თავი 30). ცხადია, იმას, რასაც პოლიტიკური ეკონომისტები ინფორმაციის ნაკლებობად აფასებენ, სხვები ფსიქოლოგიურ შტამპებს უწოდებენ. მაგრამ დისციპლინის განვითარების თვალსაზრისით პრობლემებისადმი მიდგომისას ამგვარი განსხვავებები იმდენად არაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც საკუთრივ პრობლემის არსებობის საერთო აღიარება. პრაქტიკულად ყველა მიმართულების პოლიტიკური მეცნიერი უმნიშვნელოვანესად მიიჩნევს ხალხის ცნობიერებასა და რწმენებს, ასევე იმას, რაც ყოველივე ამის უკან დგას.

ის, რაც ადამიანების წარმოდგენით ჭეშმარიტი და მნიშვნელოვანია, რაც მათი რწმენით კარგი და ფასეულია, არა მარტო წარმართავს, არამედ ზღუდავს კიდევ მათ სოციალურ ქმედებებს (Offe, იხ. ქვემოთ, თავი 29). ეს რწმენა-წარმოდგენები, თავის მხრივ, ემყარება წარსულის მოძღვრებებსა და გამოცდილებას. ამ მოძღვრებებისა და გამოცდილების შეზღუდვებს შეუძლია განსაზღვროს ხალხის რწმენა-წარმოდგენების ჩარჩოები და ღირებულებები, და აქედან გამომდინარე, განაპირობოს მისი პოლიტიკური არჩევანი (Neustadt and May 1986; Edelman 1988). ამ შეზღუდვებით მანიპულაცია ისევე, როგორც მანიპულაცია ამ შეზღუდვების შიგნით მცხოვრები ადამიანებით, წარმოადგენს ღრმად პოლიტიკურ აქტს, რომელიც იმსახურებს და სულ უფრო მეტად იპყრობს ანალიტიკოსთა ყურადღებას. უახლეს ნაშრომთა შორის უნდა დასახელდეს ალისონის (Allison 1971) შრომა `კონცეპტუალური რუკების` შესახებ, მარჩისა (March 1972) _ `მოდელის გამრუდების` თაობაზე, აქსელროდის (Axelrod 1976) _ სქემების თეორიაზე, ჯერვისის (Jervis 1976) _ აღქმის როლზე საერთაშორისო ურთიერთობებში და ასევე მრავალი გამოკვლევა პოლიტიკური კომუნიკაციების შესახებ (Nimmo and Sanders 1981; Swanson and Nimmo 1990; Graber 1993).

ახალი პოლიტიკური მეცნიერების კიდევ ერთი თემა, რომელსაც კვლავაც უბრუნდებიან და რომელიც ამ ახალ სახელმძღვანელოში განიხილება, არის მზარდი გაცნობიერება იმისა, რომ იდეებს გარკვეული შედეგები მოსდევს. ეს საკითხი დროდადრო წამოიჭრება საჯარო პოლიტიკასთან დაკავშირებულ დისკუსიებში. ძველი პრობლემე-

ბის ახალი რაკურსით განხილვა, მოქმედების ახალი გზების მოძიება, ახალი სამოქმედო გეგმების დასახვა – ყოველივე ეს საჯარო პრობლემებთან მიმართებაში პოლიტიკური აქტიურობის კვინტესენციას წარმოადგენს (Olsen 1972; Nelson, იხ. ქვემოთ, თავი 24; Majone, იხ. ქვემოთ, თავი 26). იგივე მიდგომა სავსებით გამოსადეგია კროსნაციონალურ კონტექსტში: გავრცელება დემოკრატიზაციის იდეებისა, ასევე კონკრეტული მოსაზრებებისა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს ამა თუ იმ ტიპის რეჟიმების დემოკრატიზაცია, უეჭველად უკანასკნელ დროს მსოფლიოში განვითარებული ყველაზე დრამატული მოვლენების ცენტრალური თემა იყო (Whitehead, იხ. ქვემოთ, თავი 26). ისევ აღმავლობას განიცდის საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში იდეალიზმი, რომელიც თითქმის ჰეგელიანურ მასშტაბებს აღწევს (Goldmann, იხ. ქვემოთ, თავი 16; Sanders, იხ. ქვემოთ, თავი 17; Keohane, იხ. ქვემოთ, თავი 18). `პოლიტიკის, როგორც სოციალური ძალაუფლების შეზღუდული გამოყენების` გაგების, ჩარჩოებში ეს მანევრები ცვლიან ან გარდაქმნიან არსებულ შეზღუდვებს. ამკარაა, რომ ეს ნაკლებად კონფრონტაციულია, ვიდრე ძალაუფლების განხორციელების სხვა მაგალითები, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ეს მაინც ძალაუფლების განხორციელებაა.

ბოლოს, პოლიტიკური მეცნიერების პრაქტიკიდან ქრება ფაქტებისა და მათი შეფასების ურთიერთდაპირისპირება, რაც ბიჰევიორისტული რევოლუციის `საფრთხოებლას` წარმოადგენდა მისი არსებობის ყველაზე პოზიტივისტურ ფაზაში. არსებობს უამრავი მეტათეორიული მიზეზი, რომლებიც აბრკოლებს ამგვარ განსხვავებებს და იმ შემთხვევაში, თუ ასეთი განსხვავება საერთოდ გაურკვეველია, ჩნდება ეთიკური ხასიათის მიზეზები, რომლითაც წარმოჩინდება ღირებულებათა პრიმატი ან `კონკრეტული პოზიციიდან ამოსულ პოლიტიკურ მეცნიერება` (Goodin 1980; 1982). თუმცა საბოლოოდ დანამდვილებით გაიმარჯვა მოსაზრებამ, რომ პოლიტიკური აგენტები იმავდროულად ეთიკური აქტორებიც არიან (Taylor 1967; 1985). ისინი ითავისებენ ღირებულებებს, მოქმედებენ მათ საფუძველზე და ზოგჯერ (შესაძლოა, პოლიტიკის ფილოსოფოსების ზეგავლენით) ისინი რწმუნდებიან სხვა, უკეთესი ღირებულებების შეთვისების საჭიროებაში.

თუ ჩვენ გვსურს ამ ადამიანების ქცევის ახსნა, მაშინ უნდა გავაანალიზოთ მათი როგორც ამჟამინდელი ღირებულებები, ასევე ის ღი-

რებულებები, რომელთა შექმნაც მათ შეუძლიათ. მაგალითად, ჯეიმს სკოტი გლახობის მორალურ ეკონომიკაში (Scott 1976) ცდილობდა მარტივად აეხსნა გლახური ამბოხებები სამხრეთ-დასავლეთ აზიაში მათთვის, ვინც პოლიტიკას `აკეთებს`. მისი ახსნით, ეს იყო ხალხის რეაქცია იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ისინი უსამართლოდ მიიჩნევდნენ სამართლიანობის შესახებ ადგილობრივი წარმოდგენის შესაბამისად. ბარინგტონ მური უსამართლობაში (Moore 1978) შეეცადა განეზოგადებინა ეს დებულება. ამის მსგავსად, დემოკრატიული იდეალების გავრცელება სამხრეთ ევროპაში, შემდეგ ლათინურ ამერიკაში, შემდეგ კი აღმოსავლეთ ევროპაში შეიძლება შევაფასოთ, როგორც პოლიტიკურ პროცესი, რომლიც ეყრდნობა წარმოდგენას კარგის შესახებ და ეს შეზავებულია შესაძლებელთან (Dalton, იხ. ქვემოთ, თავი 13; Whitehead, იხ. ქვემოთ, თავი 14). მენტალური პროცესებისა და პოლიტიკური პროცესების დინამიკის შესწავლისას ფაქტების ჩამოცილება მათი შეფასებიდან სრულ უგუნურებას წარმოადგენს.

იმავედროულად პოლიტიკური მეცნიერები მუდმივად ცდილობენ, გამოიყენონ კომპლექსური კვლევითი მეთოდები სისტემურად ურთიერთკავშირში მყოფ სტრუქტურებთან, პროცესებთან და შედეგებთან მიმართებაში. ამისათვის მათ ესაჭიროებათ ისეთი თეორიული ჩარჩო, რომელიც ანალიზის ყველა ამ დონეს მოიცავდა და მათ ინტეგრირებას შესაძლებელს გახდიდა. ალბათ, სწორედ ამ შესაძლებლობის შექმნაშია რაციონალური არჩევანის კონცეფციისა და ახალი ინსტიტუციონალიზმის დიდი ძალა და ამითვე აიხსნება ამ ინტელექტუალური დღის წესრიგის წარმმართველი მდგომარეობა მთლიანად თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში (იხ. ქვემოთ, IV ნაწილი). ამავე დროს, ეს კომპლექსური კვლევითი მიდგომა ითვალისწინებს სტრუქტურების, პროცესებისა და შედეგების ნორმატიულ შეფასებას, რისთვისაც ცდილობენ ნორმატიული პოლიტიკური ფილოსოფიის ინტეგრირებას ოღონდ ისე, რომ ლამის ანათემას გადასცემენ წინა თაობების მემკვიდრეობას. ამ მიზეზით შეიძლება აიხსნას სამართლიანობის შესახებ როულზის ნაშრომების (Rawls 1971; 1993) პოპულარობა და ისიც, რომ დღეისათვის ყველაზე ხშირად იმოწმებენ ისეთი ნორმატივისტების ნაშრომებს, როგორცაა ბერი, დალი და როულზი, რომლებიც ყველაზე ხშირად დამოწმებულ და მნიშვნელოვან `ინტეგრატორებად` შეიძლება ჩაითვალოს (იხ. დანართი 1C, 1D და 1E).

გ. ახალი ხმები

ჩვენ ფემინისტებისაგან, დეკონსტრუქციონისტებისაგან და, უფრო ზოგადად, პოსტმოდერნისტებისაგან ვისწავლეთ, რომ ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ `მიჩუმათების`, ანუ იმ პრობლემების მიმართ, რომლებიც უგულვებელყოფილია და რომელთა შესახებაც არ ლაპარაკობენ. მთლიანად დისციპლინის მიმოხილვისას ყოველთვის რთულია იმის გააზრება, თუ რა არის ისეთი, რაც ამ დისციპლინას აკლია.

უეჭველი ჭეშმარიტებაა, რომ ყველა დისციპლინას აქვს აღზევებისა და დაკნინების ხანა. უკანასკნელ დროს საჯარო სამართალსა და საჯარო ადმინისტრირებას პოლიტიკური მეცნიერების მთლიან კონტექსტში შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა (Wildavsky 1964; 1979; Wilson 1973), თუმცა არის გარკვეულ ნიშნები იმისა, რომ დღეს მდგომარეობა იცვლება (Drewry, *იხ.* ქვემოთ, თავი 6; Peters, *იხ.* ქვემოთ, თავი 7; Peters and Wright, *იხ.* ქვემოთ, თავი 27). ადრე გამორჩეულად დაფასებული ზოგიერთი ქვედისციპლინა ახალ სახელმძღვანელოში სუსტადაა წარმოდგენილი, რაც ალბათ, მათი ავტორების თვალთახედვით, შეესაბამება იმ მნიშვნელობას, რომელიც ენიჭება ამ ქვედისციპლინებს უახლეს ისტორიაში. საჯარო პოლიტიკის სპეციალისტები სულ უფრო იშვიათად ცდილობენ ასახონ საქალაქო პოლიტიკის პრობლემატიკა (Banfield and Wilson 1963; Banfield 1970; Katznelson 1981); საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტები სტრატეგიული კვლევების შესახებ დღეს უფრო ნაკლებად ლაპარაკობენ (Schelling 1960; Freedman 1981); ინსტიტუტების მკვლევრები გაცილებით იშვიათად წერენ წარმომადგენლობის პრობლემის შესახებ (Eulau and Wahlke 1978; Fenno 1978); ბიჰევიორიზმის სპეციალისტები უწინდელზე უფრო ნაკლებად მსჯელობენ პოლიტიკური გავლენის (Banfield 1961), პოლიტიკური კომუნიკაციებისა და, უფრო ზოგადად, პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ (Pappi, *იხ.* ქვემოთ, თავი 9; Dalton, *იხ.* ქვემოთ, თავი 13; Grofman, *იხ.* ქვემოთ, თავი 30; და McGraw, *იხ.* ქვემოთ, თავი 34). დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური მეცნიერების ანგლოცენტრულ მიმართულებაში ყოველთვის ნაკლები ყურადღება ექცეოდა მარქსისტულ თეორიებს და უცხოენოვან წყაროებს, თუმცა ამ მხრივ ამჟამად მდგომარეობა შეიცვალა (Whitehead, *იხ.* ქვემოთ, თავი 14; Apter, *იხ.* ქვემოთ, თავი 15; von Beyme, *იხ.* ქვემოთ, თავი 22; Offe, *იხ.* ქვემოთ, თავი 29).

იმ მიმდინარეობებს შორის, რომლებიც თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში უწინდელზე უკეთაა წარმოდგენილი, უნდა აღინიშნოს პოსტმოდერნიზმი და ფემინიზმი. დღეს იმ გამორჩეული როლის შესახებ, რომელსაც ქალები ასრულებენ პოლიტიკაში, მხოლოდ მრავალრიცხოვანი შრომები როდი არსებობს (Nelson and Chowdhury 1994), არამედ ისმის ქალთა განსხვავებული ხმაც, განსაკუთრებით პოლიტიკურ თეორიაში (Pateman 1988; Shanley and Pateman 1991; Young, იხ. ქვემოთ, თავი 20), საერთაშორისო ურთიერთობებსა (Tickner, იხ. ქვემოთ, თავი 18) და საჯარო პოლიტიკაში (Nelson, იხ. ქვემოთ, თავი 24).

ზოგადად პოსტმოდერნიზმი უფრო მოკრძალებულადაა წარმოდგენილი, რაც ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ მისი ცენტრალური კონცეფციები მაღალი თეორიული აბსტრაქციის დონისაა (White 1991). მიუხედავად ამისა, პოლიტიკის თეორეტიკოსები, ცხადია, ინტერესს ამჟღავნებენ მის მიმართ (Young, იხ. ქვემოთ, თავი 20; von Beyme, იხ. ქვემოთ, თავი 22). უფრო მეტიც, პოსტმოდერნისტული თეორიები მდიდარი წყარო აღმოჩნდა შთაგონებისათვის ე.წ. `ახალი პოლიტიკური მოძრაობების შესწავლისას` (Dunleavy, იხ. ქვემოთ, თავი 10; Dalton, იხ. ქვემოთ, თავი 13; Young, იხ. ქვემოთ, თავი 20) და ძველი საერთაშორისო წესრიგის რღვევის კვლევისას (Tickner, იხ. ქვემოთ, თავი 18). იმ შემთხვევებში, როდესაც წარსულის მკაფიო პოლიტიკური სტრუქტურები გაქრა (ან დაიშალა მრავალ ერთმანეთიდან გათიშულ ელემენტად), პოსტსტრუქტურულ თეორიულ ანალიზს სავსებით შეუძლია ახსნას, თუ რა ხდებოდა და როგორ.

იმისგან დამოუკიდებლად, არის თუ არა თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება მთლიანად პოსტმოდერნისტული, ის არსებითად პოსტპოზიტივისტურია იმ თვალსაზრისით, რომ ბევრი ისწავლა ჰერმენევტიკული კრიტიკისაგან. პოლიტიკური ცხოვრების სუბიექტური ფაქტორები, პოლიტიკურ აქტორთა შინაგანი მენტალური სამყარო, მნიშვნელობები, რწმენა-წარმოდგენები, განზრახვები და ღირებულებები – ყოველივე ამას დღეს ცენტრალური ადგილი უკავია პოლიტიკური ანალიზის ნებისმიერ მიმართულებაში (Edelman 1964; Scott 1976; Ricer 1986; Popkin 1991; Kaase, Newton and Scarbrough 1995).

ეს მიღწევები დიდწილად აისახა ახალი სახელმძღვანელოს ცალკეულ თავებში.²⁹

უფრო ზოგადი თვალსაზრისით, პოლიტიკური მეთოდოლოგია, როგორც ჩანს, შედის განვითარების გარკვეულ პოსტმოდერნისტულ ფაზაში. ალბათ მეთოდოლოგთა შორის არ მოიძებნება ბევრი ისეთი ენთუზიასტი, როგორცაა, მაგალითად, ალკერი (Alker, იხ. ქვემოთ, თავი 35), რომელიც მოინდომებდა ამ პროცესის გააზრებას. თუმცა, მიუხედავად ამისა, დღეს ბევრი მნიშვნელოვნად მიიჩნევს კონტექსტუალიზაციისა და კონკრეტულ არჩევანზე დამოკიდებულების განმარტებების აუცილებლობას (Jackson, იხ. ქვემოთ, თავი 32; Ragin et al., იხ. ქვემოთ, თავი 33). ეს, გარკვეული თვალსაზრისით, ამა თუ იმ პოლიტიკური მოვლენის ახსნისას ნიშნავს უარის თქმას საერთო მეთოდოლოგიაზე კერძოს სასარგებლოდ, უნივერსალიზმზე კონკრეტული სიტუაციების სასარგებლოდ. ამ მნიშვნელობით, პოლიტიკური მეთოდოლოგიის უახლესი მიღწევები შეიძლება განიხილებოდეს, როგორც `პოსტმოდერნული შემობრუნება`.

მართლაც, თუკი მივუდგებით დისციპლინის ისტორიას, როგორც `ტექსტს`, პოსტმოდერნული ტექნიკა შეიძლება დაგვხმარებოდა, დაგვენახა ჩვენი კოლექტიური წარსულის მრავალი შესაძლებელი ვარიანტი და, შესაბამისად, აღმოგვეჩინა მომავალი განვითარების არაერთი შესაძლო მიმართულება (Dryzek, Farr and Leonard 1995). ის, ვინც მიჯაჭვულია `დიდი მეცნიერების` სწორხაზოვანი პროგრესის ხედვაზე, შეიძლება გააწბილოს სხვადასხვა ტრაექტორიებით განვითარების სრულიად განსხვავებულმა შესაძლებლობებმა.³⁰ თუმცა დო-

²⁹ Weingast, იხ. ქვემოთ, თავი 5; Pappi, იხ. ქვემოთ, თავი 9; Dunleavy, იხ. ქვემოთ, თავი 10; Whitehead, იხ. ქვემოთ, თავი 14; Tickner, იხ. ქვემოთ, თავი 18; von Beyme, იხ. ქვემოთ, თავი 21; Hofferbert and Cingranelli, იხ. ქვემოთ, თავი 25; Majone, იხ. ქვემოთ, თავი 26; Offe, იხ. ქვემოთ, თავი 29; Grofman, იხ. ქვემოთ, თავი 30; Alker, იხ. ქვემოთ, თავი 35.

³⁰ განსაკუთრებულად მკაფიოდ პოლიტიკური მეცნიერების განვითარების სხვა გზები ვლინდება ეროვნულ საზოგადოებებში. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია, ერთმანეთს შევადაროთ შეერთებული შტატების ისტორიის კლასიკური გამოცემა (Somit and Tanenhaus 1967) და სხვა გადმოცემები (Easton, Gunnell and Graziano 1991; Wagner, Wittrock and Whitley 1991; Dierkes and Biervert 1992; Rokkan 1979 და Chester 1986).

განის (Dogan, იხ. ქვემოთ, თავი 3) თავში დისციპლინის პროგრესის შესახებ `ახალი მიმდინარეობების` გავრცელება პოლიტიკურ მეცნიერებს შორის დიდად მოწონებულია, ვინაიდან ეს ქმნის ქვედისციპლინათა ჰიბრიდიზაციის ნაყოფიერ შესაძლებლობებს.

IV პროფესიის კონტურები: ბიბლიომეტრული ანალიზი

შესაძლოა, დისციპლინის ბუნების შესახებ ამ ხმამაღალი განცხადებების დასაბუთების საუკეთესო გზა, როგორც ამას ახალი სახელმძღვანელო გვიჩვენებს, მასში დამოწმებული ლიტერატურის უფრო გულდასმითი ბიბლიომეტრული ანალიზია. ამ სახის ანალიზით ვლინდება ნაშრომთა ანდა, უფრო ხშირად, კონკრეტული ავტორების ნაშრომთა ციტირების სიხშირე. მიუხედავად იმისა, რომ ამ მეთოდს აქვს გარკვეული ხარვეზები, ის მაინც მეტად სასარგებლოა ამა თუ იმ თვალსაზრისით: ცალკეული ინდივიდებისა და კვლევითი დეპარტამენტების რეპუტაციისა და მდგომარეობის გარკვევისას პროფესიის შიგნით, ამა თუ იმ ტიპის კონკრეტული ნაშრომის ან კონკრეტული მკვლევრის ნაშრომების გამოყენების სიხშირის გამოსავლენად და ა.შ.³¹

უფრო მეტ ინტერესს კი არსებულ სიტუაციაში იწვევს ის, თუ როგორ ხდება ერთი ქვედისციპლინის მკვლევართა ნაშრომების შეჭრა სხვა ქვედისციპლინაში და ამის შედეგად მთლიანად დისციპლინის ინტეგრაცია. ამ მიზნით, ჩვენ ვამჯობინეთ ყურადღება გაგვემახვილებინა არა კონკრეტულ ტექსტში ნახსენები ავტორებისა და ნაშრომების რაოდენობაზე, არამედ იმაზე, თუ რამდენჯერაა ესა თუ ის ავტორი ან ნაშრომი დასახელებული ახალი სახელმძღვანელოს სხვა ნაწილების ლიტერატურის სიაში. (შედეგების განმეორებისაგან თავის ასარიდებლად, ეს გათვლა არ ითვალისწინებს ჩვენი წინამდებარე თა-

³¹ აშშ-ში მოღვაწე მკვლევართა და აშშ-ის კვლევითი დეპარტამენტების შეფასებისათვის იხ.: Klingemann 1986. უახლესი მონაცემები კლინგემანის მიერ წარმოდგენილი იქნება მოთხოვნის მიხედვით.

ვის ბოლოს მოტანილ ლიტერატურის სიას³²). ეს მიდგომა, მიუხედავად შედეგების გარკვეული დამახინჯებისა, როგორც ჩანს, ყველაზე უკეთ შეესაბამება ჩვენს ამოცანას.³³

ამგვარი ბიბლიომეტრული ანალიზის შედეგად მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი იკვეთება. გასათვალისწინებელია, რომ პოლიტოლოგთა უდიდესი ნაწილი, პირველ რიგში, წარმოადგენს საკუთარი ქვედისციპლინის სპეციალისტს. ავტორებისა და დამოწმებული ნაშრომების დიდი უმრავლესობა ახალი სახელმძღვანელოს მხოლოდ ერთი ქვედისციპლინის თავშია ნახსენები. მართლაც (როგორც ნაჩვენებია დანართში 1B), ავტორთა თითქმის ორი მესამედი ნახსენებია

³² ეს აუცილებელია, რათა თავი ავარიდოთ გარკვეულ გადახრას იმ დასკვნების სასარგებლოდ, რომელთა მიღება შესაძლებელი გახდებოდა ჩვენს მიერ დაწერილი თავის ლიტერატურის სიის გამოყენებით. გარდა ამისა, როგორც ეს მიღებულია, ჩვენ გათვლებიდან გამოვრიცხეთ წიგნის ავტორთა მიერ დამოწმებული საკუთარი ნაშრომები (მოცემულ შემთხვევაში ეს დამატებით სიმძლეებს შექმნიდა, ვინაიდან ახალი სახელმძღვანელოს ავტორები გამოირიცხებოდნენ იმ თავების ანალიზიდანაც კი, რომელთა ავტორებიც არ არიან). თანავტორობით დაწერილ ნაშრომთა დამოწმებებისას ყველა ავტორი გათვალისწინებულია თანაბარი პროპორციით (ანუ ისე, თითქოს თითოეული მათგანი კონკრეტული ნაშრომის ერთადერთი ავტორი ყოფილიყო). ჩვეულებრივ, ეს მიღებული არაა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამგვარი მიდგომა დიდწილად შეესაბამება ავტორთა შეფასების ჩვენს ამოცანას, რომლის დროსაც ვესწრაფვოდით არა იმდენად მათი რეპუტაციის გამყარებას, რამდენადაც დისციპლინის პოტენციური ინტეგრატორების გამოვლენას.

³³ განსაკუთრებით გასათვალისწინებელია, რომ თუკი გვინდა თავი ავარიდოთ შეფასებით უზუსტობას, უფრო მოსახერხებელია, გავითვალისწინოთ ტექსტებისა და ავტორების დამოწმებათა სიხშირე ლიტერატურის სიაში, ვიდრე მათი ციტირება კონკრეტული თავების ფარგლებში. ამის შესახებ გვაფრთხილებდა ბერლინი (Berlin 1953), როდესაც საუბრობდა გასხვაგვარად `ზღარბებს` და `მელიებს` შორის და აღნიშნავდა ამ უკანასკნელთა უპირატესობას (`ზღარბებმა` მხოლოდ ერთი დიდი სფერო იციან ან დაწერილი აქვთ ერთი დიდი წიგნი, `მელიებმა` კი მეტნაკლებად ბევრ სფეროში იციან რაღაც და დაწერილი აქვთ მრავალი წიგნი თუ სტატია, რომელთაც სხვები იმოწმებენ).

მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ ერთი თავის დამოწმებული ლიტერატურის სიაში.³⁴

სხვა მხრივ, საკმაოდ ბევრი მკვლევარი ხშირად მოიხსენიება ახალი სახელმძღვანელოს თავების ლიტერატურის სიაში. 35 ავტორი (ჩამოთვლილია დანართში 1C) ათზე მეტჯერ არის მოხსენიებული. არ არსებობს პრიორიტეტების მინიჭების კონკრეტული კრიტერიუმი ამ `ღირსების ლიგის` ავტორთა შორის. ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ უბრალო მაგალითთან, ლიტერატურის ნაკრებთან, რომელიც დამოწმებულია 34 თავის ლიტერატურის სიაში. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ამა თუ იმ ავტორის ადგილი ამ ავტორიტეტთა სიაში დაუზუსტებელია და ბოლოსკენ ნახსენები სახელები საკმაოდ სადავოა, ეს სია მაინც გვეხმარება, განვსაზღვროთ, თუ რომელი ნაშრომები იწვევს ინტერესს დისციპლინის სხვადასხვა დარგებში.

სიაში წარმოდგენილი სახელების და, განსაკუთრებით, ყველაზე ხშირად ნახსენებ ნაშრომთა გაცნობა (დანართი 1D) თვალსაჩინოდ აჩვენებს ინტელექტუალურ პრობლემატიკას, რომელიც დღეს დომინირებს პოლიტიკურ მეცნიერებაში. ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ თანამედროვე პროფესიაში `ორი რევოლუციის` – ბიჰევიორისტული და რაციონალური არჩევანის რევოლუციათა – ნაკვალევს. ყველაზე ფართოდ დამოწმებული ნაშრომების სიის გადათვალიერებისას ჩვენ კვლავინდებურად ვხვდებით ისეთ კლასიკურ ნაშრომებს, როგორიცაა კემპბელის, კონვერსის, მილერისა და სტოუკის *ამერიკელი ამომრჩეველი* (Campbell, Converse, Miller and Stoke, *American Voter*); ალმონდისა და ვერბას *სამოქალაქო კულტურა* (Almond and Verba, *Civic Culture*); ლიპსეტისა და როკანის *პარტიული სისტემები და ამომრჩე-*

³⁴ ამ შედეგის გულის გამაცრუებელი ინტერპერატაცია, დანართის 1A მონაცემებთან ერთად ისაა, რომ მკვლევართა უმრავლესობის წვლილი მეტად მცირეა, რაც მალე დავიწყებას მიეცემა. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ახალი სახელმძღვანელო წარმოადგენს გასული ორი ათწლეულის უმთავრესი ნაშრომების უაღრესად შერჩევით მიმოხილვას. ამ მიზეზით ნაშრომი, რომელიც იმსახურებს ამ წიგნის ფურცლებზე ხსენებას, თავისთავად უკვე წარმოადგენს საკმაოდ მნიშვნელოვან მიღწევას. თუ ამ პოზიციიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ, მაშინ ჩვენი ანალიზის შედეგები იმის დადასტურებაა, რომ ჩვენი დისციპლინის სხვადასხვა დარგებში ესოდენ მრავალი სპეციალისტი მუშაობს..

ველთა გამოიჯვნა (Lipset and Rokkan, *Party Systems and Voter Alignment*), თუმცა დამოწმებათა სიხშირის მიხედვით ისინი უკვე სიის ქვედა მესამედში მოხვდა. ამ სიაში პირველი სამი ადგილი უკავია მეორე, რაციონალური არჩევანის, რევოლუციასთან დაკავშირებულ ისეთ ნაშრომებს, როგორცაა დაუნსის *დემოკრატიის ეკონომიკური თეორია* (Downes, *Economic Theory of Democracy*) და ოლსონის *კოლექტიური ქმედების ლოგიკა* (Olson, *Logic of Collective Action*), მათ კი დაემატა უფრო გვიანდელი ოსტრომის *თემთა მართვა* (Ostrom, *Governing the Commons*). რაციონალური არჩევანის `პუტჩი` აშკარად წარმატებული იყო. თანაც რაციონალურმა არჩევანმა კი არ დაამხო ძველი ბიჰევიორისტული ორთოდოქსია, არამედ მნიშვნელოვანი ადგილის დაკავა მის გვერდით.³⁵ აღსანიშნავია ისიც, რომ გარდასულ რევოლუციათა იდეები ჯერ კიდევ არსებით ზეგავლენას ახდენენ დისციპლინის განვითარებაზე. ცინიკოსები აცხადებენ, რომ სამეცნიერო რევოლუციები მხოლოდ მოდის ჭირვეულობის ნაყოფია. თუ ეს ასეა, მაშინ ახალი მოდის გამოჩენასთან ერთად, ძველი უკვალოდ უნდა გაქრეს. მიუხედავად ამისა, აშკარაა, რომ ასე არ მომხდარა. არის თუ არა ეს ცოდნა კუმულაციური, შესაძლოა, სხვა მსჯელობის საგანია. ყოველ შემთხვევაში, ახალი რევოლუციების შედეგად ახალი წარმოდგენების დამკვიდრებით ძველი წარმოდგენები სულაც არ ქრება.

იმავე ცხრილებზე დაკვირვებისას ჩვენ ასევე ვხედავთ მომდევნო რევოლუციის სულ უფრო მკაფიოდ გამოკვეთილ კონტურებს: ესაა `ახალი ინსტიტუციონალისტური` მოძრაობა, რომელიც ნაწილობრივ დაკავშირებულია რაციონალური არჩევანის მოძრაობასთან. ეს კავშირი ყველაზე ხშირად დამოწმებულ წიგნებს შორის საუკეთესოდ გამოიხატა ოსტრომის ნაშრომში *თემთა მართვა* და ნორტის კვლევაში *ინსტიტუტები, ინსტიტუციონალური ცვლილებები და ეკონომიკური მიღწევები* (North, *Institutions, Institutional Change and Economic Performance*). სხვა ავტორთა პუბლიკაციებში ინსტიტუციონალიზმი

³⁵ ბერის ნაშრომში *სოციოლოგები, ეკონომისტები და დემოკრატია* (Barry, 1970/1978), რომელიც უშუალოდ ამ ცვლილების მიმდინარეობისას დაიწერა, ორივე მოვლენა დაუნდობელი ლოგიკური კრიტიკის ქარცეცხლშია გატარებული. 1978 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში ბერიმ ხაზი გაუსვა გასული რვა წლის განმავლობაში `სოციოლოგიური` (ბიჰევიორისტული) პარადიგმის როლის შთამბეჭდავ შემცირებას.

მკაფიოდ გამოხატულ სოციოლოგიურ და ანტირაციონალურ ხასიათს იძენს. ეს მიმდინარეობა არაერთხელ დამოწმებულ სხვა წიგნებს შორის წარმოდგენილია მარჩისა და ოლსენის ნაშრომით ინსტიტუტების ხელახალი აღმოჩენა (March and Olsen, *Rediscovering Institutions*) და სკოპოლის კვლევით სახელმწიფოები და სოციალური რევოლუციები (Skocpol, *States and Social R evolutions*).

პროფესიის ბიბლიომეტრული ანალიზის შემდეგი ეტაპია დისციპლინის ყველაზე ხშირად დამოწმებულ ავტორთა შორის მთლიანად დისციპლინის `ინტეგრატორების` ძიება. ჩვენ “ინტეგრატორად” მივიჩნევთ ნებისმიერს, რომელიც, სულ მცირე, ერთხელ მაინც ხვდება დამოწმებული სიების ნახევარში (რაც გვამღევს მათ დამოწმებას ხუთჯერ და მეტჯერ) ახალი სახელმძღვანელოს რვა სუბდისციპლინურ ნაწილში. 1630 ავტორიდან, რომლებიც წარმოდგენილია ახალი სახელმძღვანელოს დამოწმებებში მხოლოდ 72 (4,4%) გვხვდება 5 ან მეტ თავში. მათგან მხოლოდ 21 წარმოადგენს დისციპლინის ინტეგრატორს, იმ გაგებით, რომ მათი გავლენა ვრცელდება ახალი სახელმძღვანელოს სუბდისციპლინური ნაწილების ნახევარზე მეტზე. ეს 21 “ინტეგრატორი” ჩამოთვლილია დანართში 1E ³⁶

დიდწილად იმავე მეთოდების გამოყენებით ჩვენ ვხედავთ, თუ რამდენად კარგადაა თითოეული ქვედისციპლინა ინტეგრირებული მთლიანი დისციპლინის ფარგლებში. ჩვენ შევეცადეთ, თითოეულ ქვედისციპლინაში გამოგვეყო ავტორები, რომლებსაც ყველაზე ხშირად დამოწმებულ ავტორთა ცხრილში პირველი სამი ადგილი უკავიათ (ისინი ჩამოთვლილია ცხრილში 1F). იმის საჩვენებლად, თუ რამდენად კარგადაა ქვედისციპლინა ინტეგრირებული მთლიანად დისციპლინაში, ჩვენ დავსვამთ ორ კითხვას (დანართში 1G): რამდენად ხშირადაა ქვედისციპლინაში ყველაზე ხშირად მოხსენიებული ავტორები ციტირებული მთლიანად დისციპლინაში (ყველაზე ხშირად და-

³⁶ მხოლოდ 21 ინტეგრატორის გამოყოფამ ასეულობით მკვლევრიდან, რომლებიც ამჟამად აქტიურად მოღვაწეობენ პოლიტიკური მეცნიერების სფეროში, შეიძლება შექმნას შთაბეჭდილება, რომ დისციპლინის ინტეგრაცია შედარებით ჭირს. თუმცა არსებობს საპირისპირო მოსაზრება, რომლის თანახმადაც, დისციპლინის სპეციალისტთა კოლექტიური ფოკუსირება რამდენიმე გამორჩეულ მკვლევარზე და მათ ნაშრომებზე უფრო მეტი ინტეგრაციის მაჩვენებელია.

მოწმებულთა პირველი ათეულის მიხედვით)? რა ადგილი უკავიათ ქვედისციპლინის ყველაზე ხშირად მოხსენიებული ავტორებს მთლიანად დისციპლინის ინტეგრატორთა შორის?

ორი ქვედისციპლინა (კომპარატიული პოლიტიკური მეცნიერება და პოლიტიკური ეკონომია) ამ ორივე კრიტერიუმის მიხედვით, განსაკუთრებით კარგადაა ინტეგრირებული მთლიანად დისციპლინაში. სხვა დისციპლინების (მაგალითად, საჯარო პოლიტიკისა და ადმინისტრირების და პოლიტიკური თეორიის) ავტორები ხშირად გვევლინებიან მთლიანად დისციპლინის ინტეგრატორებად. ამავდროულად, სხვა დარგების, პირველ რიგში კი, პოლიტიკური ინსტიტუტების კვლევების წარმომადგენლები, რომელთაც არ ჰყავთ საკუთარი ინტეგრატორები, ყველაზე ხშირად იმოწმებენ ავტორთა ნაშრომებს, რომლებიც ყველაზე მეტად არიან წარმოდგენილნი მთლიანად დისციპლინაში. არსებობს მხოლოდ ერთი ქვედისციპლინა, კერძოდ, პოლიტიკური მეთოდოლოგია, რომლის ყველაზე ხშირად ციტირებული ავტორები არ შედიან არც დისციპლინის ინტეგრატორთა რიცხვში და არც ყველაზე ხშირად ციტირებულ ავტორთა რიცხვში. მეცნიერების ეს დარგი ალბათ, გარკვეული თვალსაზრისით, განცალკევებით დგას და შედარებით დამოუკიდებლად ვითარდება.³⁷

დასკვნა

ახალი სახელმძღვანელოს 34 თავის ანალიზის საფუძველზე შექმნილი სურათი, საკმაოდ ოპტიმისტურია, რადგან მასში აისახება სწრაფად ცვალებადი ცოდნის სფერო, რომელიც წარმოდგენილია თვალსაჩინო და ქმედითუნარიანი მკვლევრების მიერ. ისინი მუდმივად ცდილობენ იმ ბარიერების გადალახვას, რომელიც ოდესღაც ჰყოფდა დისციპლინის ცალკეულ დარგებს. ადრე მოარული შეხედულება გარკვეული ერთიანი მეცნიერების შექმნის შესაძლებლობის შესახებ ქიმერად რჩება (Neurath et al. 1955). მაგრამ XX საუკუნის მიწურულს, ჩვენ მეცნიერება პოტენციურად გაერთიანებადი მეცნიერებაა. ინტელექტუალური ენერგია, ცნობისმოყვარეობა და ღიაობა, რაც სა-

³⁷ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებზე დაყრდნობით, ვერ შევძელით გაგვეანალიზებინა ურთიერთობები პოლიტიკური მეცნიერების ქვედისციპლინებსა და სხვა მეცნიერებებს შორის. მათი კავშირის შესახებ იხ. ახალი სახელმძღვანელოს თავი 3.

ჭირო გახდა ამ ფაქტის გასაცნობიერებლად, უკვე თავისთავად წარმოადგენს მიღწევას.

ცხრილი A1.H წამყვანი მკვლევრები პოლიტიკურ მეცნიერებაში

ჯგუფი 1

პოლიტიკური მეცნიერების `ბურჯებია` ის ავტორები, რომლებიც ინტეგრატორები არიან და ასევე ყველაზე ხშირად მოიხსენიებიან ერთ ან რამდენიმე ქვედისციპლინაში. ამ კრიტერიუმის მიხედვით ჩვენ გამოვყოფთ 10 (0.6%) `ბურჯს`. ესენი არიან:

	დისციპლინა	ქვედისციპლინა	ინტეგრატორი
ალმონდი გ.	X	X	
ბერი ბ.	X	X	X
დალი რ.	X	X	X
ლიიპჰარტი ა.	X	X	X
ლიპსეტი ს.მ.	X	X	X
ოლსონი მ.	X	X	X
შეპსლი კ.	X	X	X
სკოკპოლი ტ.	X	X	X
ვეინგასტი ბ.	X	X	X
ვერბა ს.	X	X	X

ჯგუფი 2

შემდეგ ჯგუფში შედიან `განსაკუთრებით თვალსაჩინო ინტეგრატორები." ეს ის მეცნიერები არიან, რომლებიც მთლიანად დისციპლინაში მოიხსენიებიან ყველაზე ხშირად და არა რომელიმე კონკრეტულ დარგში. ასეთი ინტეგრატორი სულ შეიძლება (0,4%). ესენი არიან:

	გამოჩენილი დისციპლინაში	ინტეგრატორი
დაუნსი ა.		X
მერჩი ჯ.	X	X

ოლსენი ჯ.	X	X
ორდეშუკი პ.	X	X
ოსტრომი ე.	X	X
რაიკერი უ.	X	X
საიმონი ჰ.	X	X
	X	

ჯგუფი 3

არსებობს `ნაკლებად შესამჩნევი` 4 ინტეგრატორი (0.2%), რაც ნიშნავს, რომ ისინი ეკუთვნიან ინტეგრატორთა რიცხვს, მაგრამ არ შედიან მთლიანად დისციპლინის ან მისი ცალკეული დარგის ყველაზე ხშირად დამოწმებულ ავტორთა რიცხვში. ესენია:

	ინტეგრატორი
ერიკსონი რ.	X
ლეივერი მ.	X
პოლსბი ნ.	X
შარპფი ფ.	X

ჯგუფი 4

პირველი სამ ჯგუფში წარმოდგენილი არიან `ინტეგრატორები`. მათ მოსდევს `ცალკეული დარგების ფართოდ ცნობილი სპეციალისტები`, ისინი, ვინც მთლიანად დისციპლინაში და მათ საკუთარ ქვედისციპლინაში ყველაზე ხშირად მოიხსენიებიან. ასეთია 10 (0.6%) სწავლული:

	დისციპლინა	ქვედისციპლინა
კონვერსი პ.	X	X
ელსტერი ჯ.	X	X
ფერჯონი ჯ.	X	X
ინგლეჰარტი რ.	X	X
ქეოჰეინი რ.	X	X
ლასუელი ჰ.	X	X
მაკუბინსი მ.	X	X
ნორთი დ.	X	X

როულზი ჯ.	X	X
ვილდავსკი ა.	X	X

ჯგუფი 5

არის კიდევ 7 ავტორი (0.4%), რომელთათვისაც შეიძლება გვეწოდები-
ნა უბრალოდ `ცნობილი მეცნიერი`. ეს ნიშნავს, რომ ისინი ყველაზე ხში-
რადაა დამოწმებული მთლიანად დისციპლინაში და არა მის ცალკეულ
დარგებში და ინტეგრატორთა შორის. ესენი არიან:

დისციპლინა	
ბიუკენენი დ.	X
ისტონი დ.	X
ფიორინა მ.	X
მო ტ.	X
როკანი ს.	X
სარტორი ჯ.	X
შმიტერი ფ.	X